

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი  
ეროვნული კომისია (სემეკ)

დამტკიცებულია სემეკის  
2003 წლის 21 მარტის  
№12 გადაწყვეტილებით

## წლიური ანგარიში

2002 წელი

თბილისი  
მარტი, 2003 წელი

## შინაარსი

	<b>მითმომდღი</b>	<b>გვ.</b> 4
<b>1ყ</b>	<b>თფლფკმუდწო უტუკუეშლშო ქფკუბდშკუიუდშ უკწმტგდშ ლწქშოშფშ თეკღეგფხ ქფეუკშფდგკ-ეულტშლგკშ ფტტგკშმდწოფ ვფ ვფაშტფტოუფ თეკღეგფ ვფ ლფგკუიშმ გჭკბტმუნწაფ</b>	6
	ა) კომისიის წევრები	6
	ბ) კომისიის აპარატი	6
<b>1ყ2</b>	<b>ქფეუკშფდგკ-ეულტშლგკშ ფტტგკშმდწოფ</b>	8
	ა) ოფისი და მისი მოწყობილობა	8
	ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა	9
<b>1ყ3</b>	<b>აშტფტოგკშ გჭკბტმუნწაფ ვფ ლწტეკწდშ</b>	9
	ა) რეგულირების საფასური	9
	ბ) ტექნიკური დახმარება	9
	გ) სხვა შემოსავლები	9
	დ) სემეკის საქმიანობის შემოწმება	9
<b>2ყ</b>	<b>თფლფტწტქჟუიღწ ვფ ტწკქფეშგდშ იფჭფ</b>	9
<b>2.1</b>	ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო აქტებში	9
<b>2.2</b>	დადგენილებები და გადაწყვეტილებები	10
<b>2.3</b>	სადავო საკითხების გადაწყვეტა	11
<b>3</b>	<b>უდუღეკწუტუკუეშლშო თუღეწკშ</b>	13
	ა) ელექტროენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	13
	ბ) ლიცენზირება	17
	გ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების შემოწმება	21
	დ) პრივატიზაცია	31
	ე) ელექტრობაზრის საქმიანობის ზედამხედველობა	32
	ვ) სხვა ფუნქციათა განხორციელება	35
<b>4</b>	<b>იგტუიკშშშ პფჭშო თუღეწკშ</b>	36
	ა) გაზომვარაგების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	36
	ბ) ლიცენზირება	44
	გ) ლიცენზიის პირობებისა და წესების შესრულების კონტროლი	45
	დ) პრივატიზაცია	48
	ე) სხვა ფუნქციათა განხორციელება	49
<b>5</b>	<b>ეფგშაუიშო ვფგბუტფ ვფ კუბდშკუიუფ</b>	51
	<b>ფ% უდუღეკწუტუკუეშლშო</b>	51
	<b>ი% იგტუიკშშშ პფჭშ</b>	56

6	შტაწკქფსზღღ გჭკბტუნწაფ ვფ თფუკძფმწკშთწ წკბფტშჭფსზუიფტ გკძუგძწფ	59
7	ქწღფღფღუძფ გადუიუიშთ ვფსმფ	62
8	თუკეშაშღფსშთ თფქგმფწძფ წკბფტშჭუიფ ვფ ლწწკგშტფსშფ	73
9ყ	ფფტფკპუიშ	75

## მეთოდური

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია სემეკის მოღვაწეობის მეხუთე - 2002 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში გასული 5 წელი და, კერძოდ 2002 წელი მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. დასრულდა 2001 წელს წამოწყებული ზოგიერთი სტრუქტურული რეფორმა. კერძოდ, დასრულდა საერთაშორისო ტენდერი ელექტროგადაცემა-დისპეტჩერიზაციის საწარმოების 5 წლის ვადით კერძო მართვაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელშიც გაიმარჯვა ირლანდიურმა კომპანიამ ESBI. ამ ტენდერებს უნდა მოჰყვეს მსოფლიო ბანკის მიერ საბითუმო ბაზრის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტი 56 მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნული კრედიტი ძირითადად მოხმარდება მაღალი ძაბვის ელექტროქსელის რეაბილიტაციას, რაც მეტად საჭირო და დროულ დახმარებას წარმოადგენს უმძიმეს ტექნიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს ენერგოსისტემისათვის.

სტრუქტურული რეფორმის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ელექტროგადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საწარმოთა გაერთიანება და ერთ იურიდიულ პირად ჩამოყალიბება. ამ გაერთიანებამ, ექსპერტთა აზრით, რადიკალურად უნდა გააუმჯობესოს ენერგოსისტემის მართვის პროცესი, ხელი შეუწყოს ელექტროენერჯის განაწილებას მომხმარებელთა მიერ ელექტროენერჯის საფასურის გადახდის ადეკვატურად, ანუ ელექტროენერჯია მიეწოდოს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც სრულად იხდის მის საფასურს.

გამანაწილებელი ენერგოკომპანიების პრივატიზების მიზნით, საქართველოს მთავრობის მრჩეველის ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზების საკითხებში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) წინადადებების საფუძველზე, ერთ ენერგოკომპანიად გაერთიანდა სამხარეო პრინციპით ჩამოყალიბებული გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, რის შედეგადაც, საქართველოში ამჟამად ფუნქციონირებს ოთხი მსხვილი გამანაწილებელი ენერგოკომპანია – თბილისის, კახეთის, აჭარისა და დანარჩენი საქართველოსი (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა). ორივე პროცესი 2002 წელს დასრულდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ კომპანია „ტერნასთან“, ვარციხეჰესების კასკადის 6,5 წლით მართვაში გადაცემის უკვე გაფორმებული ხელშეკრულების მიუხედავად, პროექტის განხორციელება არ დაწყებულა. ამის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ თურქული მხარის უარი ელექტროსადგურში გამოძუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვაზე. აღნიშნულის გამო, შეჩერდა გერმანული ბანკის KfW-ის მიერ გამოყოფილი კრედიტი 32 მილიონი ევრო, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი მოხმარდება ვარციხეჰესების კასკადის სარემონტო სამუშაოებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სატარიფო პოლიტიკის სფეროშიც. სემეკმა თავისი 2002 წლის 15 ოქტომბრის №12 დადგენილებით დააწესა ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფი რეგიონებში (8.5 თ/კვტს დღგ-ის ჩათვლით) და თბილისში (220-380 ვოლტი ძაბვის მომხმარებლისათვის 13.7 თ/კვტს, ხოლო 6-10 კვ ძაბვაზე 11.3 თეთრ/კვტსთ).

სემეკის თავმჯდომარის 2002 წლის 14 ნოემბრის №36-კ ბრძანების თანახმად, სემეკის აპარატში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის დეპარტამენტი, რომელიც დაკომპლექტდა სემეკში მომუშავე თანამშრომლებისაგან.

ბუნებრივი გაზის სექტორში განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიებები არ გატარებულა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წინა წელთან შედარებით გაიზარდა ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა რაოდენობა. ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად კვლავ რჩება სს „თბილგაზი“. მორიგი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მისი პრივატიზება. კატასტროფულად დაბალია მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების, საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოხდა სემეკში. 2001 წელს შეიქმნა სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელშიც 6 თანამშრომელი მუშაობს. დეპარტამენტმა დიდი სამუშაო გასწია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, გადაიჭრა მომხმარებლებსა და ლიცენზიატებს შორის წარმოშობილი მრავალი სადავო საკითხი. რეგულარულად კვირაში ერთხელ ტარდება შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ფენის და მომხმარებელთა კატეგორიის წარმომადგენლებთან. საინფორმაციო საშუალებებით უუქდება სემეკის საქმიანობა. მოქმედებს სემეკის ინტერნეტგვერდი ([www.gnerc.org](http://www.gnerc.org))

2002 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების დეტალური განხილვა მოცემულია წინამდებარე ანგარიშში.

**ს** თელავში დაწესებული უბნების მფლობელებს დაკრძალვის უფლებების დასაცავად დასაბუთებულია თვითმართვადი უფლებების დასაცავად დასაბუთებულია

**სს** თვითმართვადი უფლებების დასაცავად დასაბუთებულია

**ფ** თვითმართვადი უფლებების დასაცავად დასაბუთებულია

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც თანამდებობაზე დაინიშნენ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 აგვისტოს №960 განკარგულებით, მათგან თავმჯდომარეა ელიზბარ ერისთავი, წევრები- დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე.

**ფ** თვითმართვადი უფლებების დასაცავად დასაბუთებულია

აპარატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, რომელიც სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსია.

2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგება 67 მუშაკისაგან. კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- ა. 6 დეპარტამენტი - იურიდიული, ეკონომიკური, ელექტროენერგეტიკული, ბუნებრივი გაზის, ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის და სამოქალაქო უფლებების დაცვის;
- ბ. 2 განყოფილება – საერთო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო;
- გ. ბუღალტერია;
- დ. მომსახურე პერსონალი.

აპარატი, ძირითადად დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებითა და იურისტებით. აპარატის 51 სპეციალისტისაგან ენერგეტიკოსი და გაზის მეურნეობის სპეციალისტია 14, ანუ სპეციალისტთა საერთო რაოდენობის 27.5%, ეკონომისტი – 9, ანუ საერთო რაოდენობის 17.6% და იურისტი – 8, ანუ 15.7%. გარდა ამისა, აპარატში არიან ჟურნალისტები, სამოქალაქო უფლებების დაცვისა და სხვადასხვა სპეციალობის 20 მუშაკი (39.2%).

აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით.

## ფუნქციური ქეტილი

№	დეპარტამენტი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
1	<b>ფქტკგ დ უოდშ გშკუდწკშ</b>	ალექსანდრე ფირცხალაიშვილი
2.	<p><b><u>იურიდიული დეპარტამენტი</u></b> - 8 სამტატო ერთეული  დეპარტამენტის დირექტორი  სამმართველოს უფროსი – 2 სამტატო ერთეული  მთავარი იურისტი – 1 სამტატო. ერთეული  წამყვანი იურისტი – 1 სამტატო ერთეული  უფროსი იურისტი - 2 სამტატო ერთეული  საქმისმწარმოებელი – 1 სამტატო ერთეული</p>	თამაზ მირესაშვილი
3.	<p><b><u>ელექტროენერგეტიკული დეპარტამენტი</u></b> -  8.5 სამტატო ერთეული  დეპარტამენტის დირექტორის მ.შ  სამმართველოს უფროსი 1 სამტატო ერთეული  მთავარი სპეციალისტი - 4 სამტატო ერთეული  წამყვანი სპეციალისტი - 1 სამტატო ერთეული  სტაჟიორი – 1 სამტატო ერთეული  კონსულტანტი – 0.5 სამტატო ერთეული</p>	ილია ნაკაშიძე
4.	<p><b><u>პროექტიური დეპარტამენტი</u></b> - 8 სამტატო ერთეული  დეპარტამენტის დირექტორი  მთავარი სპეციალისტი – 1 სამტატო ერთეული  მთავარი ექსპერტი – 1 სამტატო ერთეული  წამყვანი სპეციალისტი - 3 სამტატო ერთეული  საქმისმწარმოებელი - 1 სამტატო ერთეული  სტაჟიორი - 1 სამტატო ერთეული</p>	ნუგზარ ჩოხელი

5.	<p><b><u>ბუნებრივი გავის დეპარტამენტი</u></b> 6 საშტატო ერთეული  დეპარტამენტის დირექტორი  მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული  მთავარი ექსპერტი – 1 საშტატო ერთეული  წამყვანი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული  რეფერენტი - 1 საშტატო ერთეული</p>	დიმიტრი ნამგალაძე
6.	<p><b><u>ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის დეპარტამენტი</u></b> 5 საშტატო ერთეული.  დეპარტამენტის დირექტორი  მთავარი სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული  წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული</p>	ალექსანდრე ხეთაგური
7.	<p><b><u>სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი</u></b>  6 საშტატო ერთეული  დეპარტამენტის დირექტორი  მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთ  მასმედიის სამსახურის მდივანი – 1 საშტატო ერთ.  სამოქალაქო სამსახურის მდივანი 1 საშტატო ერთ.  სპეციალისტი – 2 საშტატო ერთ</p>	პაატა ვარდოსანიძე
8.	<p><b><u>სამართო განყოფილება</u></b> - 5 საშტატო ერთ.  განყოფილების უფროსი  საქმისმწარმოებელი, არქივის პასუხისმგებელი პირი – 1  საშტატო ერთ.  საქმისმწარმოებელი – 1 საშტატო ერთეული  სტაჟიორი - 1 საშტატო ერთეული  კურიერი - 1 საშტატო ერთეული</p>	მზია სუქნიძე
9	<p><b><u>აღმინისტრაციული განყოფილება</u></b>-15 საშტატო ერთ.  სამსახურის უფროსი</p>	კონსტანტინე ბოკუჩავა
10	<p><b><u>ბუღალტრია</u></b> - 2 საშტატო ერთეული  მთავარი ბუღალტერი  ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული</p>	მარიამ სომხიშვილი

**სეზუ ქვეყნის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება**

- ა) ოფისი და მისი აღჭურვილობა  
სემეკის ფართობი შეადგენს 1332 კვ.მ-ს. ოფისი კეთილმოწყობილია.



2002 წელს ოფისისათვის შეძენილ იქნა 6582 ლარის ღირებულების ოფისის აღჭურვილობა.

- ბ) კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა  
2002 წელს შეძენილ იქნა 14100 ლარის ღირებულების კომპიუტერული და კავშირგაბმულობის ტექნიკა.

### **სყუ აშფფფოკშ გჰკგტმუნწაფ ვფ ლწტკწდშ**

- ა) რეგულირების საფასური  
2002 წელს შემოვიდა რეგულირების საფასური 1011402 ლარის ოდენობით, საიდანაც ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადარიცხულია 301335 ლარი.
- ბ) ტექნიკური დახმარება  
2002 წელს ტექნიკური დახმარება არ განხორციელებულა.
- გ) სხვა შემოსავლები  
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მივლინების დასაფინანსებლად მიღებულია 14466 ლარი
- დ) სემეკის საქმიანობის შემოწმება  
2002 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა საგადასახადო ინსპექციის კონტროლის განყოფილების მიერ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმება. შემოწმების შედეგად დარღვევები არ გამოვლენილა.

### **ჲყ თფლტწტქჲუიღწ ვფ ტწკქჲეშგღშ იფჭფ**

#### **ჲყი სმ დშდჲუიუიშო ზკწულემ თფლტწტქჲუიღწ ფლჲუიშო**

საანგარიშო წელს სემეკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის შემუშავებაში.

ასევე, მომზადდა „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

„მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მომზადებულ იქნა პროექტი, რომელიც შემდგომში გაიგზავნა ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოსა და ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპულ საკონსულტაციო ცენტრში. გრძელდება აღნიშნული საკითხის ირგვლივ სამუშაო შეხვედრები.

## 2<sup>ე</sup> ფეგვა უტმდუოიშ ფეგ ფეცნბუ ეშდუოიშ

2002 წელს უშუალოდ სემეკის მიერ მიღებულია 19 და დადგენილი წესით გამოქვეყნებულია 18 დადგენილება (სემეკის მიერ მიღებული და იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის გაგზავნილი იყო №4 დადგენილება, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ გამოქვეყნდა და ამიტომ იგი გაუქმდა სემეკის 2002 წლის №7 დადგენილებით). მათგან ბუნებრივი გაზის ტარიფებს ეხება 7 და ელექტროენერჯის ტარიფებს – 7 დადგენილება, ხოლო დანარჩენი ეხება ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის სექტორში, კანონმდებლობით მინიჭებულ, სემეკის უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ სხვადასხვა საკითხს.

საანგარიშო წლის განმავლობაში სემეკის მიერ მიღებულ იქნა 111 გადაწყვეტილება, რომლებმაც დაარეგულირა სემეკის კომპეტენციაში შემავალი ისეთი საკითხები, როგორცაა: ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემა, მოდიფიცირება და გაუქმება, ლიცენზიატებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების გადაწყვეტა, ელექტრობაზრის ზედამხედველობის განხორციელება, ელექტროენერჯის ნასყიდობის პირდაპირი ხელშეკრულებების დამტკიცება, ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმება, ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლის სტატუსის დადგენა და სხვ.

სემეკის თითქმის ყველა გადაწყვეტილებას ეძლეოდა სამართლებრივი შეფასება.

როგორც 2001 წელს, ისე 2002 წელსაც ადგილი აქვს სემეკის, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს, დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობას. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კონტროლის პალატისა და ქ. თბილისის პროკურატურის უკანონო ჩარევა ელექტროენერჯეტიკისა თუ ბუნებრივი გაზის სექტორებში ტარიფების დადგენის საკითხებში, რომლებიც, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ და „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონების თანახმად, მხოლოდ სემეკის პრეროგატივას წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, საქართველოს კონტროლის პალატამ შეამოწმა რა სს „თბილგაზის“ მიერ სს „თბილთეცისთვის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფის დაწესების შესახებ სემეკის 2000 წლის 16 მაისის №29 გადაწყვეტილება, სემეკის საფუძვლიანი მოსაზრებების გაუზიარებლად, შემოწმების მასალები გადაუგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მექანიკურად არ დაეყრდნო კონტროლის პალატის „ბრალდებას“, დანიშნა ეკონომიკური ექსპერტიზა, რომელმაც მთლიანად გააქარწყლა კონტროლის პალატის „ბრალდება“. ამის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 20 თებერვლის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსით გათავალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ამ დადგენილების მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ კონტროლის პალატამ მოითხოვა ამ სისხლის სამართლის საქმის გადამოწმება, რაც გენერალური პროკურატურის მიერ დაკმაყოფილდა და დაინიშნა დამატებითი ექსპერტიზა,

რომელიც 2003 წელსაც მიმდინარეობს. სემეკისთვის დღემდე უცნობია, რა ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნას, რით არის გამართლებული და მოტივირებული მისი დანიშვნის აუცილებლობა. მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, პროკურატურამ შესაბამისი დოკუმენტების ასლები არ მოგვაწოდა.

სემეკის დამოუკიდებლობის ხელყოფის მეორე შემთხვევა დაიწყო მაშინ, როცა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2002 წლის 12 ნოემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებით სს „ეი-ი-ეს თელასისთვის“ ტარიფის 12,4 თეთრამდე გაზრდასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ აღნიშნულ ფაქტზეა აღძრული და დღემდე ბოლომდე არ არის მიყვანილი, ქ. თბილისის პროკურატურა (ეს უკანასკნელი საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურის დავალებით), ითხოვს არა მარტო ამ საქმესთან დაკავშირებულ მასალებს, არამედ ისეთ დოკუმენტებსაც (მაგალითად, 1998-2002 წლებში სემეკის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში ყველა საბითუმო და საცალო ტარიფების შესახებ საბუთებს, აღნიშნული წლების სემეკის ფინანსურ-ეკონომიკურ საქმიანობას და სხვა), რომლებსაც საქმესთან არანაირი კავშირი არა აქვს, რითაც ირღვევა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნები.

გასული წლის განმავლობაში სემეკი თანამშრომლობდა საქართველოს ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამომიებო კომისიასთან, რაც სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა: იქნებოდა ეს სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის მიწოდება, თუ დროებითი საგამომიებო კომისიის სხდომებსა და შეხვედრებზე აქტიური მონაწილეობა.

## **2.4. ოფიციალური თვალსაზრისით პედაგოგიური**

იურიდიული დეპარტამენტი განახორციელებდა სემეკის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოებში. კერძოდ:

1. სს „საქტრანსგაზმრეწვის“ სარჩელის გამო. იგი ითხოვს სემეკის იმ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ მიეცა ტრანსპორტირების ლიცენზია. საქმე კვლავაც წარმოებაშია 1999 წლის აგვისტოს თვიდან.

2. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის გამო, სემეკის შესაბამისი გადაწყვეტილებები გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში სს „ლაჟვარდისა“ და სს „სინათლის“ მიერ. აღნიშნული იურიდიული პირები სემეკისგან ითხოვენ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიას, თუმცა ვერ აკმაყოფილებენ საამისოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ აუცილებელ მოთხოვნებს. ორივე საქმე წარმოებაშია.

3. ანტიმონოპოლიური სამსახურის სარჩელის გამო. მოპასუხე სემეკი. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხის მიერ სამომხმარებლო ხელშეკრულების თაობაზე დადგენილების მიღებას. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, მართალია, დააკმაყოფილა ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნა, მაგრამ სემეკის მიერ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა. საბოლოოდ, ქ. თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა სემეკის მოთხოვნა და გაუქმებულ იქნა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

4. მოქალაქე ცერცვაძის სარჩელი. მოპასუხე სემეკი. მოსარჩელე ითხოვდა ტარიფების შესახებ სემეკის 1999 წლის 31 მაისის №1 და 2000 წლის 31 აგვისტოს №8 დადგენილებების გაუქმებას. ქ. თბილისის საოლქო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელეს მოთხოვნა და არ დააკმაყოფილა იგი. შემდგომში ასეთივე პოზიცია დაიკავა ამ საკითხზე უზენაესმა სასამართლომაც.

5. საზოგადოებამ “პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისთვის” ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა სემეკის უარი კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემაზე. საქმის განხილვისას მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ.

6. ქ. თბილისის საკრებულომ და აგრეთვე, ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა და მოითხოვა „ელექტროენერჯის სამომხმარებლო და ელექტროენერგეტიკული სექტორის შიდა ტარიფების შესახებ“ სემეკის 2001 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილების ბათილად ცნობა.

7. ლეიბორისტული პარტიის მიერ ასევე შეტანილ იქნა სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციის არაკონსტიტუციურად მიჩნევის მოთხოვნით. პროცესში ერთ-ერთ მხარედ სემეკი იყო ჩართული. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა რა სემეკის 2002 წლის №14 დადგენილება, თხოვნით მიმართა სემეკს 2003 წლის 1 მარტამდე დაედგინა ელექტროენერჯის ახალი სამომხმარებლო ტარიფები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სემეკის მიერ 2003 წლის 11 თებერვლის №1 დადგენილებით შემოღებულ იქნა ახალი ტარიფები რომელიც მოქმედებაში შევიდა ამავე წლის 1 მარტიდან.

8. სამწუხაროდ, სემეკს სასამართლო ინსტანციის მეშვეობით უხდება ურთიერთობის გარკვევა ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან და ფასების სახელმწიფო ინსპექციასთან. ამ უკანასკნელის მიერ შემოწმდა ენერგეტიკული სექტორის ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორცაა სს “ეი-ი-ეს თელასი”, სს “ელექტროგადაცემა”, სს “საქენერგო - 2000”, სს “პონტოელი”, სს „მცხეთაგაზი“, სს „რუსთაგაზი“ და სხვა საწარმოები. ამასთან, მხედველობაში არ მიიღო რა სემეკის სამართლებრივი აქტები, საჯარიმო სანქციები დააკისრა შესაბამის საწარმოებს. ფასების სახელმწიფო ინსპექციის ამგვარი მიდგომა გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში. ეს საქმეები ამჟამად განხილვის სტადიაშია.

სისტემატური ხასიათი ჰქონდა სემეკის მუშაკთათვის, მოქალაქეებისა თუ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში დასაქმებული ლიცენზიატებისათვის იურიდიული კონსულტაციების გაწევას. საანგარიშო წლის განმავლობაში, იურიდიულ დეპარტამენტში შევიდა 627 წერილი და განცხადება, რომლებიც განხილულ იქნა და პასუხი გაეცა 580-ს, ხოლო 47 წერილი განხილვის სტადიაშია და პასუხები მზადდება.

### **ჰე უდუღე კწუტუკპუ ეშლში თუღეწკუ**

### **ჟე უდუღე კწუტუკპუ ეშლში იტფუქუგკწმუ ქგპწქგკუწითი ოტუფთუფ**

საანგარიშო 2002 წელს საქართველოს ენერგოსისტემის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 7234,7 მლნ კვტსთ ელექტროენერგია, რაც 6.2%-ით მეტია წინა 2001 წელთან შედარებით. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურებში გამოიმუშავებული ელექტროენერგია გაიზარდა 23.6%-ით და შეადგინა 6721,2 მლნ კვტსთ. თბოელექტროსადგურების გამოიმუშაება შემცირდა 62.6%-ით და შეადგინა 513,5 მლნ კვტსთ; მნიშვნელოვნად შემცირდა ელექტროენერგიის ექსპორტი (53.3%-ით) და იმპორტი (18.7%-ით). ჰესების გამოიმუშაების გაზრდა, ძირითადად, განაპირობა ატმოსფერული ნალექების სიუხვემ, ხოლო თესების გამოიმუშაების მკვეთრი შემცირება გამოიწვია სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ მე-10 ენერგობლოკის აფეთქებამ და ნაწილობრივ მე-9 ენერგობლოკის, გათვალისწინებულთან შედარებით დაგვიანებით ამუშაებამ შემცირებული (180მგვტ) სიმძლავრით.

ენერგოსისტემის დატვირთვის მაქსიმუმი აღინიშნა 2002 წლის 31 დეკემბერს და შეადგინა 1630 მგვტ 49.99 სიხშირეზე, რაც 2001 წლის მაქსიმუმზე 98 მგვტ-ით ნაკლებია; შესაბამისად შემცირდა დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი. მიუხედავად მძიმე ტექნიკური მდგომარეობისა და ქრონიკული დაუფინანსებლობისა, დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებდა ენერგოსისტემის 35-110-220-500 კვ ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების უმრავლესობა, თუმცა ნორმატიულზე გაცილებით ნაკლები საიმედოობით. ენერგოსისტემის დატვირთვის შემცირება, ძირითადად განპირობებულია ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების პერმანენტული დაუფინანსებლობით და მისგან გამომდინარე ნაგებობებისა და აგრეგატების რემონტების, რეკონსტრუქციისა და რენოვაციის გეგმა-გრაფიკების წლიდან წლამდე შეუსრულებლობა. ყოველივე განაპირობებს მომხმარებელთა მკაცრ შეზღუდვებს. თბილისის გარდა, საქართველოს რეგიონების ელექტრომომარაგება პრაქტიკულად პარალიზებულია და არც ჩანს უახლოეს მომავალში მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების პერსპექტივა.

ენერგოსისტემაში დადგმულ, ხელთარსებულ (ქონებულ) და მუშა სიმძლავრეებს შორის ტექნიკურ-ეკონომიკურად დაუშვებელი თანაფარდობების ზოგიერთი ტექნიკური მიზეზიდან აღსანიშნავია:

1. დატბორილია ვარდნილჰესების კასკადის II, III, IV ჰესები, შემცირებულია ვარდნილჰესი I-ის სიმძლავრე არხის გამტარუნარიანობის შემცირების გამო;

2. არ მუშაობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ელექტროსადგურები (სოხუმჰესი, ტყვარჩელსრესი, მცირე ჰესები);
3. შემცირებულია ჟინვალჰესის სიმძლავრე გვირაბის გამტარუნარიანობის შემცირების გამო;
4. გაძარცვულია ენგურჰესის 260 მვტ სიმძლავრის №3 ჰიდროაგრეგატი, ასევე შემცირებულია დანარჩენი ოთხი აგრეგატის მუშა სიმძლავრეები დადგმულთან შედარებით;
5. შემცირებულია ძევრულაჰესის სიმძლავრე 80 მვტ-დან 40 მვტ-მდე აგრეგატების დასაშვებზე მეტი ვიბრაციის გამო;
6. მთლიანად ამორტიზებულია თბილსრესის №1,2,5 და №7 ენერგობლოკები, ხოლო №№3,4 და 8 ენერგობლოკები, ძირითადად, გაჩერებულია საწვავის უქონლობის გამო, მუშაობის შემთხვევაში მუშა სიმძლავრე მნიშვნელოვნად ნაკლებია დადგმულზე;
7. სს „ეი-ი-ეს მტკვარის“ მუშა მე-9 ბლოკი ფუნქციონირებს მნიშვნელოვნად დაბალი სიმძლავრით (180 მვტ, ნაცვლად 300 მვტ-ისა);
8. გაჩერებულია თბილისის თბოელექტროცენტრალი.

ჰიდროელექტროსადგურებში სარემონტო სამუშაოების დაუფინანსებლობის გამო ძალიან დაბალია დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი, რის გამოც წყალდიდობის დროს იღვრება დიდი რაოდენობით წყალი და იკარგება იაფი ელექტროენერგია. იზრდება ელექტროენერჯის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფი.

პრივატიზებულ ჰესებში პრაქტიკულად არ ხდება სარეაბილიტაციო სამუშაოები (არ ხორციელდება აუცილებელი ინვესტირება). მათგან გამონაკლისია სიონჰესი და ძევრულაჰესის პრივატიზებული აგრეგატი (შპს „მუნღეიკ ჯორჯია“). ჭიანურდება ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო რაც შეეხება 25 წლით მართვის უფლებით AES-ზე გადაცემულ ხრამჰეს-I-ს და ხრამჰეს-II-ს, მათგან პირველზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ფუნქციონირებს სრული დატვირთვით: ხრამჰეს-II-ის აგრეგატები შესაცვლელია; შეტანილია ძირითადი მოწყობილობები, მაგრამ რეკონსტრუქციის დაწყება დაუშვებლად ჭიანურდება. უნდა აღინიშნოს, რომ არ შესრულდა მართვის კონტრაქტით გათვალისწინებული ინვენსტიციების გეგმა, რამაც დღის წესრიგში დააყენა მართვის კონტრაქტის გაუქმების მიზანშეწონილობის საკითხი.

ენერგოსისტემის ძირითადი ელექტრული ქსელის 35-110-220-330-500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების 90%-ზე მეტი, ორი ლიცენზიატის სს „ელექტროგადამცემის“ (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის) და სს „საქრუსენერგოს“ მართვაშია. შესაბამისად, აღნიშნული ლიცენზიატების ელექტრული ქსელების ტექნიკური მდგომარეობა, მართვის საშუალებების გამართულობა, ძირითადად განსაზღვრავს ენერგოსისტემის მაღალი ძაბვის ქსელის ტექნიკურ მდგომარეობასა და საიმედოობის დონეს.

ენერგოსისტემის მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელისა და მთლიანად, ენერგოსისტემის მართვის საშუალებების ძირითადი ნაწილი შპს „საქართველოს

სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მართვაში; უკანასკნელი შეიქმნა საანგარიშო წელს სს „ელექტროგადაცემის“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად და 5 წლით მართვაში გადაეცა ირლანდიურ კომპანიას ESBI, რომელიც მენეჯმენტ კონტრაქტის განხორციელებას იწყებს 2003 წლის 3 მარტიდან.

ელექტროგადაცემის ობიექტების ძირითადი მოწყობილობების და დისპეტჩერული მართვის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცვეთილი და მოძველებულია ფიზიკურად და მორალურად. საჭიროა მათი რეკონსტრუქცია-განახლება.

ენერგოსისტემის ელექტროგადამცემი ქსელის ტექნიკური ექსპლუატაციის დონე და ენერგოსისტემის დისპეტჩერული მართვის ავტომატიზაციის მოწყობილობების საიმედოობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს საჭირო მაჩვენებლებს. პრობლემის ნაწილობრივი შემსუბუქების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ოპტიმალური დაგეგმვა და შესრულება, ელექტროენერჯის გადაცემასა და დისპეტჩერიზაციაზე გაწეული მომსახურების ღირებულების მოსალოდნელი ანაზღაურებიდან დაფინანსების პირობებში; მაგრამ გაწეული მომსახურების ქრონიკული გადაუხდელობა შეუძლებელს ხდის დაგეგმილი სამუშაოების დროულად და სრული მოცულობით შესრულებას. შეუსრულებელი ნაწილი გადადის მომდევნო წლის გეგმებში და საერთოდ განუხორციელებელი რჩება. მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს გეგმით გაუთვალისწინებელი (ავარიების შემდგომი) აუცილებელი სამუშაოების შეუსრულებლობა; იზრდება ექსპლუატაციისა და იმედიანობის დონის შემდგომი შემცირების რისკი.

ენერგოსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების დაჩქარებული ცვეთა, რომელიც გამოწვეულია შეზღუდვებისა და სიხშირის არასტაბილურობის გამო, დაუშვებლად ხშირი ჩართვა-გამორთვებით. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ 35-110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების გარკვეული ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ გაძარცვულია და მათ აღდგენას ესაჭიროება სერიოზული სახსრები და დრო.

სს „ელექტროგადაცემის“ ობიექტებზე გათვალისწინებული იყო კაპიტალური შეკეთება შემდეგი მოცულობით:

- 63 ტრანსფორმატორი და ავტოტრანსფორმატორი საერთო სიმძლავრით 1279.3 მვა;
- 252 ცალი 35-5000 კვ ძაბვის ამომრთველი;
- კაპიტალური რემონტების გეგმა შესრულდა საშუალოდ 15%-ით ჩასატარებელია შემდეგი სარემონტო სამუშაოები;
- 18 ქვესადგურზე კაპიტალურად შესაკეთებელია მართვის ფარების და შენობების სახურავები;
- 21 ქვესადგურზე შესაკეთებელია სხვადასხვა დანიშნულების კონსტრუქციები და სხვა;
- აღსადგენია ქსნის 500 კვ და რუსთავის 220კვ ძაბვის ქვესადგურებში ტრანსფორმატორებსა და რეაქტორებზე ხანძარქრობი ავტომატური სისტემები;
- 110 კვ ძაბვის ზოგიერთი ქვესადგური სარეკონსტრუქციოა;

– გეგმური კაპიტალური რემონტი უნდა ჩატარებოდა 280 კმ-მდე საერთო სიგრძის 35-220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს. დაუფინანსებლობის გამო სამუშაო ვერ შესრულდა.

ძარცვის შედეგად არ ფუნქციონირებს მრავალი ელექტროგადამცემი ხაზი. მუშაობაში დარჩენილ ხაზებზე მასობრივად გაძარცვულია ანძების ლითონკონსტრუქციები, რის გამოც იზრდება ავარიების ალბათობა.

მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელის ტექნიკური მდგომარეობის დამახასიათებელი ზოგიერთი მონაცემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მის მოწესრიგებას დასჭირდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები.

ელექტროსისტემის მდგრადი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობა მეტად სავალალოა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილავთ ზოგიერთ მონაცემს:

– ძირითადი 220-500 კვ ძაბვის ქსელის რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობების უმეტესობა ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია. 220 კვ ძაბვის ეგ ხაზებზე მასობრივად მოქმედებიდან გამოყვანილია ძირითადი სწრაფმოქმედი დიფერენციალურ-ფაზური დაცვები; მოქმედებაშია მხოლოდ სარეზერვო დაცვები. ანალოგიურ მდგომარეობაშია ელექტროგადამცემი ხაზების „ქართლი-1“ და „ქართლი-2“-ის რელეური დაცვისა და ავტომატიკის მოწყობილობები.

– ელექტროსისტემაში არ მოქმედებს ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის არცერთი არხი და მოწყობილობა, ავტომატური განმეორებითი ჩართვის მოწყობილობები.

გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს რელეური დაცვისა და ელექტროავტომატიკის და ავარიების საწინააღმდეგო ავტომატიკის საშუალებათა ეტაპობრივი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია, პირველ რიგში 500 კვ ძაბვის სატრანზიტო ქსელის აღჭურვა რელეური დაცვისა და ავტომატიკის თანამედროვე მიკროპროცესორული ციფრული აპარატურით. აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ელექტროსადგურებში ამჟამად მწყობრიდან გამოსული სიხშირის პირველადი რეგულატორების აღდგენა და თანამედროვე სიხშირის მეორეული რეგულირების სისტემების დამონტაჟება და მოქმედებაში შეყვანა.

საგანგაშოა ის, რომ პრაქტიკულად ვერ შესრულდა ტელემექანიკური და დისტანციური მართვის მოწყობილობებისა და დისპეტჩერული-ტექნოლოგიური მართვის საშუალებათა კაპიტალური რემონტის სამუშაოები. ვერ შესრულდა აგრეთვე ახალი აპარატურის შექმნა-მონტაჟისა და ოპტიკური კაბელების დანერგვის სამუშაოები.

საქართველოს ელექტროსისტემის ექსპლუატაციისა და საიმედოობის დონის ამაღლებისათვის და გადაუდებელი სამუშაოების შესასრულებლად, ასევე უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია დამატებით დაფინანსების გათვალისწინება; ფილიალები მინიმალურადაც არ არიან უზრუნველყოფილი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით და ექსპლუატაციისა და რენოვაციის



ინსტრუქციებით; ხარისხობრივად ახალ დონეზე ასაყვანი პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები.

კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემების ქსელების გაყოფის საზღვრებზე მოწყობა თანამედროვე დონეზე და მათი სწორი ექსპლუატაცია, სათანადო კადრებით უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები: „სათბობენერგონფორმატიკამ“ ჩატარა ენერგოსისტემაში საანგარიშსწორებო და ტექნიკური აღრიცხვის სისტემების ტესტირება; ელექტროგადაცემისა და „ეი-ი-ეს თელასის“ ქსელების გაყოფის წერტილებში ექსპლუატაციაში შეყვანილ იქნა 67 აღრიცხვის სისტემა „ალფა პლუს“ მრიცხველების ბაზაზე, მაგრამ სამუშაოთა ძირითადი ნაწილის ჩატარება პრაქტიკულად შეჩერებულია დაუფინანსებლობის გამო.

## **შ დისუტქმკუფ**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-V თავის 24-ე მუხლის „1“-ლი პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია გასცეს ლიცენზიები ელექტროენერჯის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციაზე, განაწილებაზე, იმპორტსა და ექსპორტზე, კომისიის მიერ დამტკიცებული წესების, პროცედურებისა და ნორმატიული აქტების თანახმად და გააკონტროლოს თითოეული ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების დაცვა.

კომისია გასცემს ლიცენზიას მხოლოდ იმ ინდივიდუალურ მეწარმეზე ან იურიდიულ პირზე, რომელსაც აქვს ელექტროენერგეტიკის სექტორში საქმიანობის კომპეტენცია და აკმაყოფილებს ამ კანონით და ლიცენზიით გათვალისწინებულ პირობებს.

ლიცენზიაში აღნიშნულია სალიცენზიო განაცხადში მითითებული მომსახურების სახე, მომსახურების საშუალებების ადგილმდებარეობა და ტერიტორია, რომელზეც გავრცელდება ლიცენზიის მოქმედება, ლიცენზიის მოქმედების ვადა, მოთხოვნა რეგულირების საფასურის დროულად გადახდაზე, ლიცენზიის მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების პირობები.

სემეკის მიერ 2002 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გაიცა 21 ლიცენზია; აქედან წარმოების 6, განაწილების 9, იმპორტის 3, გადაცემის 1 და დისპეტჩერიზაციის 2 ლიცენზია (იხ. დანართი ).

წარმოების ლიცენზია გაიცა შპს „რუსთავჰესზე“, შპს „ქცია-95“-ზე, შპს „მუნღეიკ ჯორჯიაზე“, შპს „ალაზანჰესზე“, შპს „ქართულ შაქარზე“ და შპს „საქართველოს რკინიგზაზე“ (ჩითახევექსი, ბჟუჟაჰესი).

სს „ბჟუჟაჰესსა“ და შპს „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2002 წლის 1 მარტის ხელშეკრულებით ჰიდროელექტროსადგური „ბჟუჟაჰესი“ იჯარით გადაეცა შპს „საქართველოს რკინიგზას“. ამვე საიჯარო ხელშეკრულების 6.1.2 პუნქტისა და №1 დანართის შესაბამისად, შპს „საქართველოს რკინიგზა“ იღებს ვალდებულებებს ჰიდროელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისათვის ინვესტიციების ჩადებაზე. ამის საფუძველზე სს „ბჟუჟაჰესმა“ მოითხოვა მასზე

გაცემული ლიცენზიის გაუქმება, ხოლო „საქართველოს რკინიგზამ“ - ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიის მიღება.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2002 წლის 22 მარტის №1-3/193 ბრძანების თანახმად, სს „შიდა ქართლის ენერჯოკომპანიის“, სს „ქვემო ქართლის ენერჯოკომპანიის“, სს „სამცხე-ჯავახეთის ენერჯოკომპანიის“, სს „მცხეთა-მთიანეთის ენერჯოკომპანიის“, სს „იმერეთის ენერჯოკომპანიის“, სს „გურიის ენერჯოკომპანიის“, სს „სამეგრელო-ზემო სვანეთის ენერჯოკომპანიის“ და სს „რაჭის ენერჯოკომპანიის“ შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია“, რომელმაც 2002 წლის 30 აპრილს სემეკში შემოიტანა განაცხადი, შესაბამისი დოკუმენტაციით, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მისაღებად.

იურიდიული და ეკონომიკური დეპარტამენტების დასკვნებისა და ელექტროენერჯეტიკული დეპარტამენტის მოკვლევის საფუძველზე მასზე გაიცა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიები გაიცა აგრეთვე შპს „XXI საუკუნეზე“ (ქუთაისი), შპს „რობაზე“ (ქუთაისი), შპს „საქართველოს რკინიგზაზე“, სს „აზოტზე“, შპს „მეოხზე“ და შპს „ელექტრომექანიკოსზე“.

გორის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის დადგენილებით შპს „შუმს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „გ.თ.გ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მოდიფიცირებულ იქნა შპს „შუმზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №034, სერია 14 და შპს „გ.თ.გ“-ზე გაიცა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №049, სერია 14.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეოხმა“ სემეკში შემოიტანა განაცხადი ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ.

შპს „მეოხს“ 35კვ ქვესადგურ „ქუთაისი-I“-ის 6კვ სალტებიდან გამავალი სს „ქუთაისის“ საკონსერვო ქარხნისა და სს „ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის“ კუთვნილი 6-0.4კვ ელექტროქსელი აღებული აქვს იჯარით, 5 წლის ვადით, რომლითაც ელექტროენერჯიას ანაწილებს 6-0.4კვ ძაბვის მომხმარებლებზე.

შპს „მეოხმა“ ასევე იჯარით აიღო ქუთაისის №1 პურის ქარხნის კუთვნილი 10-6-0.4 კვ ქსელი, რომელიც იკვებება ბაკისუბნის 110/35/10კვ ქვესადგურის 10კვ და ქუთაისი-I-ის 35/6კვ ქვესადგურის 6კვ სალტებიდან და ელექტროენერჯია უნდა გაანაწილოს 0.4კვ ძაბვის მომხმარებლებზე.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლისა და სემეკის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების წესების“ მე-6 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად მოდიფიცირებულ იქნა შპს „მეოხზე“ გაცემული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზია №048, სერია 14 და ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის №1 დანართში შევიდა შესაბამისი ცვლილებები.

2001 წლის 22 დეკემბერს თბილსრესის მე-10 ენერგობლოკის აფეთქებით მწყობრიდან გამოვიდა მე-9 ენერგობლოკიც, რამაც გამოიწვია ენერგოსისტემაში ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტი. ამის გამო სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოსა“ და დახურულ სააქციო საზოგადოება „არმროსგაზპრომს“ შორის 2002 წლის 3 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად სომხეთიდან ხორციელდება ელექტროენერჯის იმპორტი, 220კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ალავერდი“.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია გაიცა სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოზე“ 2002 წლის 4 იანვრიდან 2002 წლის 15 აპრილამდე, ლიცენზია №013, სერია 15.

2001 წლის 22 დეკემბერს შპს „ეი-ი-ეს მტკვარის“ კუთვნილი მე-10 ენერგობლოკის აფეთქებამ გამოიწვია ქვეყანაში ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტი.

შექმნილი რთული მდგომარეობის გამოსასწორებლად და ქ. თბილისის ელექტროენერჯით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, საჭირო გახდა ელექტროენერჯის იმპორტის განხორციელება. შესაბამისად, სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ დახურული სააქციო საზოგადოება „არმროსგაზპრომთან“ 2001 წლის 24 დეკემბერს გაფორმდა ელექტროენერჯის იმპორტის ხელშეკრულება №ARG-1/67-1.

ხელშეკრულების №1 დანართის საფუძველზე, 2002 წლის 28 დეკემბრიდან 2003 წლის 3 იანვრის ჩათვლით, განხორციელდა ელექტროენერჯის იმპორტი სომხეთიდან.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზირების წესების“ მოთხოვნათა შესაბამისად სემეკის 2002 წლის 4 იანვარის №1/1 გადაწყვეტილებით გაიცა ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია სს „ეი-ი-ეს თელასზე“, 2001 წლის 28 დეკემბრიდან 2002 წლის 4 იანვრამდე, ლიცენზია №014, სერია 15.

სემეკის სხდომაზე განხილულ იქნა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის“ განაცხადი სომხეთიდან ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. 500კვ ევხ „იმერეთის“ დაზიანების გამო, მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ელექტრომომარაგების მხრივ შეიქმნა ფორსმაჟორული სიტუაცია. შექმნილი მდგომარეობის ნაწილობრივ დარეგულირების მიზნით, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3

დადგენილების შესაბამისად, 2002 წლის 24 მაისის №49 გადაწყვეტილებით გაიცა ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაზე“, ლიცენზია №015, სერია 15, 2002 წლის 1 ივნისამდე.

შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის მიერ, ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მიღების თაობაზე, სემეკში წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად, გაიცა ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ზე 2002 წლის 18 ნოემბრიდან 2003 წლის 31 მარტამდე. ლიცენზია №016, სერია 15.

ქ. თბილისის ელექტრომომარაგებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, მისი გამოსწორების მიზნით, სს „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზიის მიღების თაობაზე სემეკში წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად გაიცა ელექტროენერჯის იმპორტის ლიცენზია სს „ეი-ი-ეს თელასზე“ 2002 წლის 29 ნოემბრიდან 2003 წლის 16 აპრილამდე. ლიცენზია №017, სერია 15.

სსიპ „საერთაშორისო თანამშრომლობის რეგიონალურმა ენერჯეტიკულმა ცენტრმა“ სემეკში შემოიტანა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიის მიღების შესახებ განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით.

სსიპ „საერთაშორისო თანამშრომლობის რეგიონალური ენერჯეტიკული ცენტრი“ (სთრეცი), საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 27 სექტემბრის №387 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების თანახმად, ვალდებულია განახორციელოს მეზობელი ქვეყნების ენერჯის სისტემებთან საქართველოს ენერჯის სისტემის პარალელური მუშაობისა და ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტის კოორდინაცია.

2002 წლის 24 სექტემბერს ჩატარდა სს „პონტოელის“ (წერილი №010/01-65 24.09.02) დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელმაც მიიღო დადგენილება ორგანიზაციის გაუქმების შესახებ და დანიშნა სალიკვიდაციო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. 2002 წლის 10 აგვისტოდან სამსახურიდან განთავისუფლდა სს „პონტოელის“ მთელი პერსონალი და ორგანიზაციამ შეწყვიტა ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე დადგა, საკითხი სს „პონტოელზე“ გაცემული ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტროს (წერილი №01/1393 16.10.02წ.) შესაძლებლად მიაჩნია, ამჟამად სთრეც-ზე ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ლიცენზის გაცემა და ამ საქმიანობის განხორციელების

სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, განიხილავს მის დებულებაში შესაბამისი შესწორებებისა და დამატებების შეტანის საკითხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად კომისიამ გააუქმა სს „პონტოელზე“ გაცემული ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია №002 სერია 13 და გაიცა ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია სსიპ „საერთაშორისო თანამშრომლობის რეგიონალურ ენერგეტიკულ ცენტრზე“, ლიცენზია №003 სერია 13.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემა“ სემეკში შემოიტანა განაცხადი ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიების მიღებისა და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ზე გაცემული ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზიის მოდიფიცირების თაობაზე.

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ შეიქმნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის შედეგად, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 ნოემბრის დადგენილებით (რეგისტრაციის №5/4-3396).

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 31-ე მუხლის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად, კომისიამ გააუქმა სს „ელექტროგადაცემაზე“ გაცემული ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია №002, სერია 12; შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ზე გაცემული ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია №001, სერია 13; შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ზე გაცემული ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზია №016, სერია 15 და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ გაიცა ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია №004, სერია 12; ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზია №004, სერია 13 და ელექტროენერგიის იმპორტის ლიცენზია №018, სერია 15 და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2003 წლის 31 მარტამდე;

## **შე დსუტტშში ზშკწოიშით ფფ ცუოიში თუოკდუიში თქწცქიო**

ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიების პირობების დაცვის შემოწმებისა და მათზე 2001 წელს გაცემულ მიწერილობა, რეკომენდაციების შესრულების გადამოწმებისა და საქართველოს ენერგოსისტემაში შექმნილი კრიზისული ვითარების შემსუბუქების მიზნით სემეკის 2001 წლის 23 თებერვლის

№12 და 27 თებერვლის №37 გადაწყვეტილებების საფუძველზე, განხორციელდა თბოსადგურსა და ჰიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიების პირობების შესრულების შემოწმება.

46 ელექტროსადგურიდან შემოწმდა 28 ელექტროსადგური, რომლებსაც შემოწმების შედეგების მიხედვით მიეცათ რეკომენდაცია-მიწერილობები შესასრულებელი ღონისძიებებისა და შესრულების ვადების ჩვენებით. ამავე დროს, მათ დაევალოთ რეკომენდაცია-მიწერილობებში აღნიშნული ღონისძიებების შესრულების შესახებ, კვარტალში ერთხელ ინფორმაცია გადმოეცათ სემეკში და სსიპ „ენერჯოგენერაციაში“. ელექტროსადგურების უმეტესი ნაწილი, მართალია, გადმოსცემენ ინფორმაციას რეკომენდაცია-მიწერილობების შესრულების შესახებ, მაგრამ პროცესმა არასისტემატური ხასიათი მიიღო.

2002-2003 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად, ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის და მათზე 2001 წელს გაცემული რეკომენდაცია-მიწერილობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის ადგილზე შესწავლისა და შემოწმების მიზნით, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, სემეკმა მიიღო 2002 წლის 24 მაისის №51 გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც შეიქმნა სამი მუშა ჯგუფი, რომლებიც დაკომპლექტდა სემეკის ელექტროენერჯეტიკული დეპარტამენტისა და სსიპ „ენერჯოგენერაციის“ სპეციალისტებით. მუშა ჯგუფების მიერ გადაწყვეტილების №1 და №2 დანართების შესაბამისად, შემოწმდა ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატები.

შემოწმების შედეგების მონაცემები ასეთია:

### **წითლეთი ელექტროსადგურის ქვანახშირის**

შემოწმებული ელექტროსადგურების საერთო რაოდენობიდან 2-თბოელექტროსადგურია, ყველა დანარჩენი - სხვადასხვა ტიპის (დერივაციული, კაშხალიანი, შერეული) ჰიდროელექტროსადგური.

### **ზუგდიდში**

პერსონალთან მუშაობა ელექტროსადგურებში, ძირითადად, წარმოებს „პერსონალთან მუშაობის ორგანიზაციის წესების“ და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მოთხოვნების მიხედვით, თუმცა ბევრ ჰესში აღინიშნება დასახელებულ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან სერიოზული გადახვევები.

არ არის შედგენილი და დადგენილი წესით დამტკიცებული პერსონალთან მუშაობის, როგორც პერსპექტიული, ასევე თვითონ გეგმები. არის შემთხვევები, როცა ვადების დარღვევით ხდება მომსახურე პერსონალის ატესტაცია. ავარიის საწინააღმდეგო და ხანძარსაწინააღმდეგო ვარჯიშები ტარდება „პერსონალთან მუშაობის ორგანიზაციის წესების“ მოთხოვნათა დარღვევებით (ვარდნილჰესი, სიონჰესი, მარტყოფიჰესი, საცხენისიჰესი), ასევე, დარღვეულია ინსტრუქტაჟების ჩატარების პერიოდულობა, სუსტია ცვლების მიღება-ჩაბარების კონტროლი.

ოპერატიულ ჟურნალებში არ არის მათი შემოწმების შესაბამისი აღნიშვნები (ჩითახევქესი, საცხენისიჰესი, თეთრიხევიჰესი, სიონჰესი).

### **ელექტროსადგურებში ელექტროსადგურებში**

ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოების ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ელექტროსადგურების მუშაობის ნორმალური რეჟიმის სქემის არარსებობა, რაც, თავის მხრივ, არ იძლევა სარემონტო და ავარიული რეჟიმების სქემების შედგენის შესაძლებლობას. არადამაკმაყოფილებელია ტექნიკური პასპორტების შედგენა-განახლების წესების დაცვით წარმოება.

სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებისა და საიმედოობის უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ ელექტროსადგურში (ჩითახევქესი, ჟინვალჰესი, თეთრიხევიჰესი). ოპერატიული გადართვების ინსტრუქციების არარსებობა და ოპერატიული პერსონალის მიერ მათი არცოდნა. ამავე ელექტროსადგურებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სამუშაო ადგილების ყველა საჭირო თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციების, ოპერატიული და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციით უზრუნველყოფის საკითხებში.

არ არსებობს საჭირო დოკუმენტაციებისა და ინსტრუქციების დადგენილი წესით დამტკიცებული ჩამონათვალი.

ხრამჰეს-II-ის პერსონალის მხრიდან სისტემატურად შეინიშნება ოპერატიული დისციპლინის უხეშად დარღვევის შემთხვევები, რაზედაც სემეკმა რამდენიმეჯერ მიუთითა ჰესის ხელმძღვანელობას.

### **ტექნიკური**

შემოწმებული ელექტროსადგურების ნაგებობებისა და საწარმოო შენობების მდგომარეობა, საერთო შეფასებით, არადამაკმაყოფილებელია. ელექტროსადგურების საექსპლუატაციო პერსონალის მხრიდან, ნაგებობებისა და შენობების მდგომარეობაზე ზედამხედველობა არასათანადო დონეზეა ორგანიზებული, საწარმოო შენობებსა და ნაგებობებზე ექსპლუატაციის პროცესში არ ხდება ტექნიკური მუშაკების მიერ სისტემატური დაკვირვება, არ იწარმოება ნაგებობებისა და შენობების საექსპლუატაციო დოკუმენტაცია სრული მოცულობით, არ არსებობს შენობებსა და ნაგებობებზე დაკვირვებების ინსტრუქციები, ტექნიკური პასპორტები, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკური ჟურნალები. არ არის პერიოდული დათვალიერების აქტები, შენობებისა და ნაგებობების ტექნიკური დათვალიერების ჩატარების წლიური გეგმა-გრაფიკები, რაც მეტად მნიშვნელოვანია შენობა-ნაგებობების საძირკვლების ჯდომისა და ძვრებზე დაკვირვების სისტემისათვის, დინამიური დატვირთვების ქვეშ მყოფი კონსტრუქციებისა და უბნების ტემპერატურული ღრეჩობების და საერთო მდგომარეობის შესახებ დასკვნების ჩამოყალიბებისათვის.

შედეგად, ბევრ ობიექტზე შეკეთებას საჭიროებს ძალოვანი ტრანსფორმატორების საძირკვლები, წყალგამტარი და წყალსაშვი არხები, სააკუმულატორო ბატარეის, ზეთის მეურნეობების, გამანაწილებელი მოწყობილობების სათავსოები და შენობები.

ჩხოროწყუქესში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს წყალსაცავის ტექნიკური მდგომარეობა. იგი ავსებულია ნატანით (ქვა-ღორღით) და დაკარგული აქვს

წყალსაცავისათვის დამახასიათებელი ნიშნები. დასილულია და გაწმენდას მოითხოვს სადერივაციო არხიც. მოსაწესრიგებელია ჰიდროაგრეგატებიც, რომელთა სიჩქარისა და სიმძლავრის ავტომატური რეგულირება ვერ ხორციელდება ზეთსაწნეო დანადგარების უმოქმედობის გამო.

თითქმის ყველა ელექტროსადგურში დარღვეულია ტეწ-ის მოთხოვნები, საჭიროა ყოველწლიურად, გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებამდე დაინიშნოს სპეციალური კომისია, რომელიც მოახდენს ჰესის ნაგებობებისა და მოწყობილობების დათვალიერებას და შეამოწმებს ჰესის მზადყოფნას ექსპლუატაციისათვის.

### **რმგკწ ეგკიშუმი**

თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგურში ჰიდროტურბინების ოპტიმალური რეგულირება ვერ ხერხდება, ჰიდროტურბინები ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია, საჭიროა მათი სრული მოცულობით რეკონსტრუქცია. მიმმართველი აპარატები და ამძრავი სერვოდრავები მუშა მდგომარეობაშია, მაგრამ ისინიც მოძველებულია და ხშირად გამოდიან მწყობრიდან. შეზეთვის სისტემის მოწყობილობები ხშირად ზიანდება, ადგილი აქვს ზეთის გაჟონვებს. რეგულირების ვიბრაციული და თბური კონტროლის მოწყობილობათა მდგომარეობა ზოგიერთ სადგურში არაადაკმაყოფილებელია. სარემონტოა ზეთის ტუმბოების ელექტროამძრავები.

შეიძლება ითქვას, რომ 2001 წლის ივლისის შემოწმების შემდეგ, ძვერულაჰესის ფინანსური უზრუნველყოფა აგრეგატების გასარემონტებლად და ხელფასების გასაცემად არ გაუმჯობესებულა. დაუფინანსებლობის გამო, ძირითადი პრობლემები ისევ უცვლელია ელექტროსადგურებში, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს დანადგარ-მოწყობილობებს. ისევ უზეთოდაა დარჩენილი ძალოვანი ტრანსფორმატორი ТДГ-60000/110, გასარემონტებელია 110 კვ ეგხ „თერჯოლა-2“. ის ზეთიანი ამომრთველის ამძრავი, აღსადგენია სალტეთაშორისო ზეთიანი ამომრთველის უჯრედი. თვეობით ჭიანურდება აგრეგატების კაპიტალური რემონტი და მაინც საჭირო ხარისხით და მოცულობით ვერ სრულდება. დიდი ხანია, დაუფინანსებლობის გამო, ვერ ხერხდება №4 ჰიდროგენერატორის სტატორის ხანძრის შემდგომი აღდგენა. ამავე მიზეზით ვერ გარემონტდა სათავე ნაგებობების ჰიდროტექნიკური და მექანიკური ნაწილი. ჩამლის პირასაა ელექტროსადგურის შემოდგომა-ზამთრისათვის მზადების პროგრამაც.

### **რმგკწ პუტეკგეწკუმი**

ხშირ შემთხვევაში ჭიანურდება დაზიანებული აგრეგატების რემონტი თანხების უქონლობის გამო. მაგალითად გუმათჰესში, გ-3, 1995 წელს ავარიის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა მისი ტურბინა და მას შემდეგ აგრეგატი გაჩერებულია. გენერატორზე არ ჩატარებულა არავითარი სამუშაოები, მათ შორის არც გაზომვები. მუშა მდგომარეობაშია გ-1, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 2000 წელს, მაგრამ ამის შემდეგ აგრეგატს არ უმუშავია ძალოვანი ტრანსფორმატორის დაზიანების გამო. მანქანის კაპიტალური რემონტის შემდეგ არ ჩატარებულა საცდელი გაშვება უქმ სვლაზეც კი, რადგან სარემონტო ქარხნიდან დღემდე მიუღებელია ზეთსაწნევი



დანადგარის გარემონტებული ძრავები. გ-ნ-ს დაზიანებული აქვს ქვედა ჯვართავა და მიტანილია ქარხანაში სარემონტოდ. სამუშაო ვერ სრულდება დაუფინანსებლობის გამო.

### **მდგომარეობა ფფ თფლგპფკმ ქწჩქფკუიშ ე კფტაწკქფ ეწკუიშ**

ჰიდროელექტროსადგურების უმეტეს ნაწილში ძალოვან და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებს არ უტარდებათ პროფილაქტიკური გეგმური გაზომვები და სარემონტო სამუშაოები, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მათ დაზიანებას სხვადასხვა ხარისხით, მოძველებულია სარელეო დაცვისა და ავტომატიკის რელეები და მოწყობილობები, ასევე არ ტარდება მათი გეგმური შემოწმება და, რა თქმა უნდა, არ არსებობს სათანადო შემოწმების ოქმები და ჟურნალებში ჩანაწერები. ხოლო შემოწმების აქტები ხშირ შემთხვევაში არ არის. ძალოვანი ტრანსფორმატორები არ არიან დაკომპლექტებული ჰაერშემბერი ვენტილატორების ძრავებით. მაგალითად: შაორიჰესში ტ-1 ტრანსფორმატორი ესპლოატაციაშია 1955 წლიდან, გაუარესებული აქვს საიზოლაციო მახასიათებლები, ჰაერის შებერვის სისტემა ძრავების დაზიანების გამო უმოქმედოა, შემყვანების ელექტროსაიზოლაციო მდგომარეობა არ კონტროლდება. ცუდ მდგომარეობაშია ძაბვის ქვეშ რეგულირების მოწყობილობები, არ გააჩნიათ ავტომატურად რეგულირებისა და ხშირ შემთხვევაში დისტანციური გადართვის საშუალებები. თერმოსიფონურ ფილტრებში შესაცვლელია სილიკოგელი.

### **თფწქსკუწკწ ქუგკტუწიფ**

საკომპრესორო მეურნეობა ჰიდროელექტროსადგურებში მოუწესრიგებელია, ბევრი კომპრესორი გამოსულია მწყობრიდან და მათი აღდგენა ვერ ხერხდება მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

### **ბშფ ფფ ვფჩგკგდშ პფქფტფცსდუიფდშ ქწცწწიშდწიუიშ**

ჰიდროელექტროსადგურების ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბევრგან დაზიანებისა და ზეთის უქონლობის გამო მოქმედებიდანაა გამოყვანილი 110 კვ ზეთიანი ამომრთველები მაგ; „გუმათჰეს-1“-ში ზეთის უქონლობის გამო ექსპლუატაციიდანაა გამოყვანილი 110 კვ სექციათაშორისი ზეთიანი ამომრთველი „მკპ-110“, ტ-1-ის „მმ-110“-ს ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება გარდამავალი წინააღმდეგობების გაზრდის გამო. გ-3-ის ზეთიანი ამომრთველი „მგგ-10“ მოხსნილია და გადატანილია გ-6-ზე. ზეთის უქონლობის გამო უმოქმედოდაა 35 კვ სექციათაშორისი ზ.ა. „ემდ-35“. რიონჰესში.

„გუმათჰეს-2“-ში მწყობრიდანაა გამოსული საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორის 6 კვ ზეთიანი ამომრთველი „ვმგ-133“ (ამ ტიპის ამომრთველები 36-37 წელია მოხსნილია წარმოებიდან, საჭიროა მისი შეცვლა). 110 კვ ეგხ „მოწამეთა-3“-ის ზეთიანი ამომრთველი გამოსულია მწყობრიდან, ხოლო 110 კვ ხაზების „მოწამეთა-1“-სა და „ჭომას“ ზეთიან ამომრთველებს ესაჭიროებათ კაპიტალური შეკეთება. შესაცვლელია 7 კომპლექტი 110კვ გამთიშველები, ბლოკირების მოწყობილობები გამოსულია მწყობრიდან. მცლელები მუშა მდგომარეობაშია, მაგრამ არ არის აღჭურვილი მუშაობის მრიცხველებით. დამიწების

მოწყობილობებს ესაჭიროება ლაბორატორიული გაზომვები. ლითონკონსტრუქციები და მეხამრიდი ანძები გასაწმენდია ჟანგისაგან და შესაღებია.

1987 წელს ჩატარდა ხრამქესი-2-ის ძალოვანი ტრანსფორმატორების კომისიური შემოწმება. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, კომისიამ დაუშვებლად ჩათვალა ტრანსფორმატორების შემდგომი ექსპლუატაცია. ტრანსფორმატორები დღემდე განაგრძობენ მუშაობას. №2 ავტოტრანსფორმატორის ორი ფაზის (A და C) შემყვანში ზეთი საჭიროებს დამატებას. ავტოტრანსფორმატორში ზეთის ქიმიური ანალიზი არ ჩატარებულა ბოლო წლის განმავლობაში. შემყვანში საჭიროა ზეთის დამატება. ავტოტრანსფორმატორში ზეთის ქიმიური ანალიზი არ ჩატარებულა ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ზოგიერთ ელექტროსადგურში ტრანსფორმატორების ირგვლივ მოხრეშილი ტერიტორია გაჟღენთილია ზეთით და საჭიროა მთლიანად შეცვლა ან გარეცხვა, ხანძრის გაჩენის შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით.

### **თელავის ელექტროსადგურში**

ზოგიერთ ელექტროსადგურში ტეწ-ის მოთხოვნებიდან გადახვევებით წარმოებს სააკუმულატორო ბატარეების ექსპლუატაცია. არ არსებობს დადგენილი წესით დამტკიცებული სააკუმულატორო ბატარეების დათვალიერების გრაფიკი. ტეწ-ით მითითებული ნორმების დარღვევით იზომება სააკუმულატორო ბატარეის ელემენტების ძაბვა, ელექტროლიტის სიმკრივე და ტემპერატურა.

საკუმულატორო დანადგარის მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილი არ არის გაზომვებისათვის საჭირო ყველა საკონტროლო ხელსაწყოთი, სპეციალური ტანსაცმლით და ინვენტარით. დარღვეულია სააკუმულატორო დანადგარების რემონტის ჩატარების ვადები. როგორც წესი, მათ კაპიტალური რემონტი უტარდებათ ექსპლუატაციაში გაშვებიდან არა უგვიანეს 15 წლის შემდეგ.

### **თელავის ქუეყანაში**

საკაბელო არხები ბევრ ელექტროსადგურში ღიადაა დატოვილი, ფიდერები დაზიანებულია, დაზიანებულია არხების კედლებიც. არხების ფსკერები არ არის გაწმენდილი იქ მოხვედრილი ნაგვისა და ბალახისაგან. ზოგ შემთხვევაში გასაანხლებელია კაბელების მარკირება, საჭდეები, დაზიანებულია ხანძარგამძლე ტიხრები და გადახურვები. პერიოდულად არ ხდება საკაბელო ხაზების დატვირთვების გაზომვები.

### **გთფა კმ წყნოში ელექტროსადგურში ცუთოში ქმწმტუიში ფფსმფ**

ელექტროსადგურების გარკვეულ ნაწილში უსაფრთხოების ტექნიკის წესების მოთხოვნათა დაცვას არ ექცევა შესაბამისი ყურადღება. ხშირად შეკეთების სამუშაოები ტარდება სამუშაო ადგილების მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩათვარებლად და განწესების გარეშე.

ბევრ ელექტროსადგურში ოპერატიული პერსონალის სამუშაო ადგილებზე არ არსებობს იმ პირთა სია, რომლებსაც აქვთ განწესის გაცემის უფლება, ან იყვნენ

სამუშაოთა ხელმძღვანელები და დამშვებები. სიებში მითითებული არ არის უსაფრთხოების ტექნიკის წესების მათთვის მიკუთვნებული საკვალიფიკაციო ჯგუფის ნომერი.

ელექტროსადგურები მთელი მოცულობით არ არიან უზრუნველყოფილი დამცავი საშუალებებით. კომისიის მუშაობის პერიოდში სიონჰესის ოპერატიული პერსონალი გადართვებს აწარმოებდა რეზინის დაზიანებული ხელთათმანით. კომისიის მიწერილობით მათ დროებით აეკრძალათ ოპერატიული გადართვები მანამდის, სანამ ოპერატიული ბრიგადები არ იქნებოდნენ უზრუნველყოფილი შემოწმებული დამცავი საშუალებებით, დადგენილი ნორმების მიხედვით.

საგანგაშო მდგომარეობაა ელექტროსადგურებში გადასატანი დამიწების ტროსებით დაკომპლექტებაში.

2001 წლის 5 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით ჩატარდა შპს „ეი-ი-ეს მტკვარის“ ენერგომოწობილობების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება. შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავდა შესასრულებელ ღონისძიებათა ნუსხა შესაბამისი ვადების მითითებით. სემეკის 2001 წლის 12 სექტემბრის №23/5 წერილის საფუძველზე შპს „ეი-ი-ეს მტკვარის“ და სსიპ „ენერგოგენერაციის“ წარმომადგენლებს დაევალით დასახული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, რის შედეგადაც გაირკვა, რომ დარღვევების უმეტესი ნაწილი აღმოფხვრილია, ნაწილი აღმოფხვრის სტადიაშია, ხოლო დანარჩენი დარღვევების ლიკვიდაციისათვის ელექტროსადგურის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, სამუშაოთა დამთავრების ვადების მითითებით.

სემეკის 2002 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ჩატარებული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნები, რომ „AES-მტკვარში“ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პერსონალთან მუშაობისა და ტექნიკური ლოკუმენტაციის მოწესრიგების საკითხები. შექმნილია პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი ლიდერებისა და მხარდამჭერთა ჯგუფის სახით. გაუმჯობესდა პერსონალის სამედიცინო მომსახურების საკითხები, შექმნილია საჭირო ტექნიკური ლიტერატურა. მიმდინარეობს ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ადგილზე გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით, თუმცა ენერგოსისტემაში არსებული სასწავლო ცენტრი ჯერ-ჯერობით გამოყენებული არ არის. შექმნილია ინდივიდუალური ელტექნიკური დამცავი საშუალებები და სახანძრო ინვენტარი, რომელთა სრულად დაკომპლექტების საკითხი ახლო მომავალში გადაწყდება. აღდგენილია ავტომატიზებული ხანძარსაქრობის სისტემა. აღდგენილია ენერგეტიკული მოწყობილობების დაკარგული პასპორტები. წნევის ქვეშე მომუშავე ტურბინების ექსპლუატაცია და შემოწმება მიმდინარეობს დირექტიული მასალების მითითებების შესაბამისად. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც დღეისათვის არსებობს ელექტროსადგურში, მაგალითად: არ არის მოწესრიგებული საკონტროლო მზომი ხელსაწყოების დამოწმების საკითხი, რადგანაც ელსადგურში არ არის სახელმწიფო დამოწმებელთა ჯგუფი, რომლის წევრებს გავლილი ექნებოდათ სპეციალური სწავლების კურსი.

– საწარმოო და თანამდებობრივი ინსტრუქციები წარმოდგენილია ნაწილობრივ და მოითხოვს ხელმძღვანელი პერსონალის მიერ ხელახალ გადახედვას და დამტკიცებას;

– არ არის შექმნილი და დაკომპლექტებული საჭირო ინვენტარით უსაფრთხოების ტექნიკის კაბინეტი;

– არ არის სრულად მხედველობაში მიღებული ის რეკომენდაციები მეტალის კონტროლის, ქიმიური რეჟიმებისა და სარელეო დაცვის საკითხებში, რომლებიც გაცემული იყო სემეკისა და ენერგოგენერაციის ერთობლივ 2001 წლის 05.04.01-ის შემოწმების აქტში;

– ამ აქტით შესასრულებელი ღონისძიებებიდან შესრულებულია 4 ღონისძიება, 8 ღონისძიება შესრულებულია ნაწილობრივ, 4 ღონისძიება კი შესასრულებელია.

კოლექტივის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს №10 ენერგობლოკის ქვაბზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაცია, ქვაბაგრეგატის აღდგენა, აგრეთვე გაცემული ელენერგიის საფასურის ამოღება, რომელმაც 2001-2002 წლებში 40 მლნ-ზე მეტი ლარი შეადგინა და შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმზე მზადყოფნისათვის დასახული ღონისძიებების შესრულება.

შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმისათვის მზადების პროგრამით უნდა შესრულდეს:

– ტურბოტუმბოს რევიზია და ვიბრაციის ლიკვიდაცია;

– ტურბინის ცენტრირება და ვიბრაციის ლიკვიდაცია;

– მბრუნავი მექანიზმების რევიზია;

– ქვაბის ხურების ფართზე პროფილაქტიკური სამუშაოები – დადულებული და დახშული მილების შეცვლით;

– არმატურის რემონტი, როგორც ქვაბზე, ისე ტურბინაზე;

– კონდენსატორის მილების ბურთულებით გაწმენდის სისტემის გაწყობითი სამუშაოების ჩატარება და ექსპლოატაციაში შეყვანა (რემონტის შემდეგ);

– ტექნიკური წყლის ქიმიურად დამუშავების სისტემის გაწყობითი სამუშაოების ჩატარება და მუშაობაში ჩართვა (რემონტის შემდეგ);

– სარელეო დაცვისა და ავტომატიკის წრედების შემოწმება.

საერთო სასადგურო მოწყობილობებზე:

– შხებმაცივრების მფრქვევანების დაზიანებული ელემენტების სრული შეცვლა;

– მაგისტრალური არხის გაწმენდა და რემონტი;

– ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე დევექტური არმატურის რევიზია და საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე რემონტი.

დაუფინანსებლობის გამო, მოსალოდნელია სარემონტო სამუშაოების შესრულების გრაფიკის დარღვევა და დასახული ღონისძიებების შეუსრულებლობა.

დასახული ღონისძიებების შესრულების შემთხვევაში შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმზე ელექტროსადგური იმუშავებს 250 მვტ საშუალო სიმძლავრით. ობიექტის შესაბამისი რაოდენობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის საკითხი გაურკვეველია. სარეზერვო სათბობით, მაზუთით ელექტროსადგური უზრუნველყოფილი არ არის.

რაც შეეხება სს „თბილსრესის“ შემოწმებას, შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია მეტად მძიმეა. ტრადიციულად ენერგობლოკების აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო თანხები ობიექტს არ გააჩნია. ამის გამო, 2001-2002 და 2002-2003 წლების შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმისათვის მზადების პროგრამა არ სრულდება.

ენერგობლოკები №4 და №8 წლის ბოლოს გაურემონტებელი იყო, ხოლო №3 ენერგობლოკის კაპიტალური რემონტი არასრული მოცულობით დამთავრდა 2002 წლის თებერვალში და მათი გამართული მუშაობა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ეჭვს იწვევს. დაუფინანსებლობის გამო ობიექტს არ გააჩნია მარაგნაწილები და სარეზერვო სათბობი მაზუთი. ბუნებრივი აირის შეძენის საკითხიც გაურკვეველია. დაუფინანსებლობის გამო რეკომენდაცია-მიწერილობების 14 ღონისძიებიდან შესრულდა მხოლოდ 3, ნაწილობრივ შესრულდა 3 და საერთოდ არ შესრულებულა 8 ღონისძიება. თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია მომდევნო წლებში ენერგობლოკები საერთოდ ვერ იმუშავენ. ენერგობლოკები №3,4,8 თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით გაცილებით შორსაა ნორმატიული მაჩვენებლებიდან, თუმცა კი №3,4 და №8 ენერგობლოკების მუშა სიმძლავრეები არასტაბილურად 110-120 მვტ-ის ფარგლებშია. 2002 წლის პირველ კვარტალში №3 და №8 ენერგობლოკები გაჩერდნენ 10-ჯერ (№3 - 8-ჯერ, №8 - 2-ჯერ). №5,6,7 ენერგობლოკებიც, რომლებიც მოითხოვენ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას დიდი ხანია ავარიულად არიან გაჩერებულები, დაუფინანსებლობის გამო. №1 და №2 ენერგობლოკები კი ექვემდებარება დემონტაჟს, რესურსის ამოწურვასთან დაკავშირებით.

საჭიროა დიდი ძალისხმევა იმისათვის, რომ თბილსრესმა დაიბრუნოს შესაბამისი ტექნიკური დონე. პირველ რიგში, ეს საკითხი უნდა მოგვარდეს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს და მთავრობის დახმარებით და ხელშეწყობით.

**უღელეკ წუთუკაშში პეტყცმდუიშო დშუსუტქმეეუიშო ქმუკ დშუსუტქმში ზმკწოიშო ფგსშო ოქეწცქეიშო ოჟოფიე**

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვისა და მათი შესრულების კონტროლის მიზნით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, სემეკმა 2002 წლის 6 სექტემბერს მიიღო №73 გადაწყვეტილება „ელექტროენერგეტიკულ სექტორში განაწილების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმების შესახებ“.

ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის 35 მუშაკი. სემეკის №73 გადაწყვეტილებით სამუშაოების ჩასატარებლად სემეკის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების ხელმძღვანელობით დაკომპლექტდა სამი მუშა ჯგუფი, რომელთა სამუშაო არეალმა №73 გადაწყვეტილებითვე დამტკიცებული შემოწმების გეგმა-გრაფიკით მოიცვა ქვეყანაში ფუნქციონირებადი ელექტროენერჯის განაწილების 38 ლიცენზიატი.

სემეკის №73 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების პირობების შესრულების შემოწმების პროგრამა ითვალისწინებდა როგორც ლიცენზიატის ოპერატიული და ტექნიკური, ასევე მის ეკონომიკურ-ფინანსური საქმიანობის შესწავლას, ლიცენზიატის მიერ ელექტროენერჯის საფასურის ამოღებისა და მისი მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით. სემეკის

№73 გადაწყვეტილებას დანართების სახით თან დაერთო გამანაწილებელი ენერგოკომპანიის ტექნიკური და ფინანსური საქმიანობის გამოკვლევის შედეგების გაფორმების მეთოდური მითითებანი და ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთა მიერ ლიცენზიის მოთხოვნათა დაცვის შემოწმების სემეკის გადაწყვეტილებით შექმნილი მუშა-ჯგუფების მიერ გაცემული აქტი-მიწერილობის დებულება.

2002 წელს გეგმით გათვალისწინებული 38 ლიცენზიატიდან, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, შემოწმდა ელექტროენერჯის განაწილების მხოლოდ 28 ლიცენზიატის მიერ ლიცენზიის პირობების დაცვა. დარჩენილი 10 გამანაწილებელი ენერგოკომპანიის (აჭარის შპს „სინათლე“, შპს „საქართველოს რკინიგზა“, რელასი, ჩხორპესი, სს „ეი-ი-ეს თელასი“, შპს „ბიმო“, „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“, შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“, შპს „საქაერონავიგაცია“) მიერ ლიცენზიის პირობების დაცვის შემოწმების სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებულია 2003 წელს.

სემეკის №73 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაწილების ლიცენზიატების შემოწმების პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვესადგურებში დაყენებული აღრიცხვის ხელსაწყოების მდგომარეობის და მათი ჩვენების მიხედვით შესაძლო დაუბალანსებლობის მიზეზების დადგენას.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შედგენილი აქტი-მიწერილობების ანალიზი მოწმობს, რომ გამანაწილებელ ენერგოკომპანიების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები თითქმის იდენტურია და ეხება შემდეგ საკვანძო საკითხებს:

1. ენერგოკომპანიათა უმრავლესობას არ გააჩნია მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტრუქციები და სქემები;

2. არა აქვთ დამტკიცებული იმ ინსტრუქციებისა და ელექტრული სქემების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია მათი წარმატებული საქმიანობისათვის (გ. აბალაკის ინდ. საწ. „ფერმერი“; სს „გორგოტა“; შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერჯია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“)

3. არ გააჩნიათ საქართველოს ენერგეტიკაში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტები (ინდ. საწ. „ფერმერი“; შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერჯია“; შპს „ნაკადული“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“)

4. არ გააჩნიათ ეგ ხაზებისა და სქემების ტექნიკური მომსახურების წლიური გეგმა-გრაფიკები და შესაბამისად, მათი შესრულების მდგომარეობაც არავითარ დოკუმენტებში არ აისახება (შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერჯია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“).

5. არ იწარმოება ეგ ხაზებისა და სქემების უწყესრიგობების და დეფექტების აღრიცხვის ჟურნალები (შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ფერი“; შპს „ენერჯია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „ენერგოცენტრი“; შპს „გამა“; შპს „სინათლე“; შპს „მეოხი“).

6. ენერგოკომპანიებში არ არსებობს დისპეტჩერთან არსებული სავალდებულო ოპერატიული დოკუმენტაციის, როგორც ჩამონათვალი, ასევე თვით დოკუმენტაცია, გარდა ოპერატიული ჟურნალისა (შპს „შუმი“; შპს „ენერგია“; შპს „ირაკლი-2000“; შპს „აექსი“; შპს „გამა“; შპს „მეოხი“)

7. ენერგოკომპანიებში არ არის ორგანიზებული ოპერატიულ-გამსვლელი ბრიგადების ფუნქციონირება. მომხდარი ავარიული სიტუაციების აღმოფხვრა ხდება ელექტრომონტიორების მიერ მიღებული შეტყობინებების საფუძველზე (ინდ. საწ. „ფერმერი“; შპს „შუმი“; შპს „ავტომატიკა“; შპს „ენერგია“; შპს „აექსი“; შპს „გამა“; შპს „მეოხი“)

8. თითქმის არცერთ ენერგოკომპანიაში სრული მოცულობით არ სრულდება საქართველოს ენერგეტიკაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის „პერსონალთან მუშაობის მეთოდური მითითებების“ მოთხოვნა, პერსონალთან ინსტრუქტაჟების (პირველადი, განმეორებითი, დაუგეგმავი, მიმდინარე) ჩატარების მიმართებით. არცერთ ენერგოკომპანიაში არ მომხდარა და არც იგეგმება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები.

### **წი ზ კომპე უჭფსშფ**

2002 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში არც ერთი ობიექტის პრივატიზაცია არ განხორციელებულა.

ენერგოსისტემის მდგრადობის, საიმედოობისა და აღრიცხვიანობის უზრუნველსაყოფად, ოპერატიული მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისა და ენერგეტიკის დარგში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის №1488 და 2000 წლის №51 განკარგულებებით შექმნილმა სახელმწიფო სატენდერო კომისიამ ჩაატარა ტენდერი სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის მართვის უფლებით გადაცემისთვის. ამ ტენდერის პირობების უზრუნველსაყოფად გამოიცა სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის №740 განკარგულება, რომლის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებს დაევალოთ სს „ელექტროგადაცემისა“ და შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ის შერწყმის ორგანიზება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა. 2001 წლის 26 სექტემბერს საზოგადოებების აქციონერთა და პარტნიორთა საერთო კრებებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი შერწყმის შესახებ. 2002 წლის ბოლოს 5 წლიანი მართვის კონტრაქტით, აღნიშნულ ორგანიზაციაში შემოვიდა ირლანდიური კომპანია ESBI, რომელსაც გააჩნია ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის დიდი გამოცდილება.

## წი უღუღე კ წიფჭ კ ში თფაქმეტწიში ჭუფფქრუგმუდ წიფ

„საბაზრო წესებით“ სესბ-ის ფუნქციებში შედის ენერგოსისტემაში ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო აღრიცხვის ორგანიზება და მონიტორინგი. საანგარიშო წელს ჩატარდა საანგარიშსწორებო წერტილების დადგენა და არსებული აღრიცხვის სისტემების (მრიცხველები, დენისა და ძაბვის საზომი ტრანსფორმატორები, მეორადი წრედები) სამუშაო ტესტირება. სამუშაო შესრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული „სათობენერგონფორმატიკის“ მიერ. სემეკის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტი სისტემატურად მონაწილეობდა აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობის შუალედურ განხილვაში და არეგულირებდა ტესტირების პროცესში ენერგოსისტემების ობიექტებზე შექმნილ წინააღმდეგობებს.

ელექტროენერჯეტიკული დეპარტამენტი რეგულარულად მონაწილეობდა (ზედამხვედველობის ფარგლებში) სესბ-ის მუშა ჯგუფის მიერ მომზადებული საბითუმო ბაზრის „ტექნიკურ სტანდარტების“ ცალკეული თავების განხილვაში. 2002 წელს მომზადდა ტექნიკური სტანდარტების საბოლოო ვარიანტი, რომელიც განიხილა სესბ-ის აღმასრულებელმა საბჭომ და წარმოადგინა სემეკში დასამტკიცებლად. მომზადებულია ტექნიკური სტანდარტების მე-9, მე-10 და მე-11 თავების პროექტები, რომელიც განხილულ იქნა ელექტროენერჯეტიკულ დეპარტამენტში და შენიშვნები გაეგზავნა ბაზარს.

საანგარიშო წელს შეიქმნა მნიშვნელოვანი პრობლემები „ელექტროგადაცემისა და „ეი-ი-ეს თელასის“ ქსელების გაყოფის საზღვარზე დამონტაჟებული „ალფა პლუს“ ტიპის ელექტრონული მრიცხველების ექსპლუატაციაში გაცემასთან დაკავშირებით. ელექტროენერჯეტიკულ დეპარტამენტში შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები და საქსტანდარტის წარმომადგენელი (მოწვევის წესით). ჩატარდა დიდი მოცულობის სამუშაო: გადამოწმდა ხელახლა ყველა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა და იმავე წერტილებში არსებული ინდუქციური მრიცხველების გამართულობა, მათ შორის დასაშვებზე მეტი უბალანსობის მიზეზები, შეიცვალა ზოგიერთ ქვესადგურში აღრიცხვის სქემა; მოწესრიგდა „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ დამონტაჟებული ელექტრონული აღრიცხვის სისტემების სს „ელექტროგადაცემაზე“ ექსპლუატაციაში გადაცემისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაცია და „ალფა პლუს“ ტიპის მრიცხველებით შეიცვალა ინდუქციური ტიპის მრიცხველები. დროებით ინდუქციურ მრიცხველებს მიენიჭათ საკონტროლო სტატუსი.

საბითუმო ბაზარს შეექმნა სერიოზული პრობლემები „ჩალაჰისის“ და „ალაზანჰისის“ მიერ გამოძუშავებული და ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებასთან დაკავშირებით. ელექტროენერჯეტიკულმა დეპარტამენტმა, იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად, ადგილზე შეისწავლა შექმნილი ვითარება და სემეკის სხდომაზე განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. ელექტროენერჯეტიკული დეპარტამენტი ზედამხვედველობას უწევდა სესბ-ის შესაბამის სტრუქტურებს, რომელთა ფუნქციებშიც შედის ელექტროენერჯის



დანაკარგების განსაზღვრა და საანგარიშსწორებო აღრიცხვა. სისტემატიურად იმართება ურთიერთკონსულტაციები ბაზრის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების ირგვლივ.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც ღლეს ღვას სესბ-ის წინაშე არის რეალიზებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღების ძალზე დაბალი მაჩვენებელი. სემეკში განსახილველად შემოვიდა სესბ-ის მართვის ხელშეკრულების კონსორციუმის მიერ მომზადებული ყოველთვიური ფინანსური ანგარიში, რომელიც შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან და შეეხება საქართველოს ელექტროენერჯეტიკაში არსებული უმწვავესი პრობლემების წარმოჩინებასა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებს.

მოცემულია ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პრობლემის არსებობას, ესენია: პირდაპირ მომხმარებლებზე მიწოდებული ელექტროენერჯის ღღგ-ით დაბეგვრის რეჟიმი, მესამე პირთათვის ვალის დათმობის პრინციპი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული თანხების მიუღებლობა, ცენტრალური სადისპეტჩეროს მიერ სესბ-ის ლიმიტების შეუსრულებლობა, პოლიტიკური ჩარევები, კორუფცია და სხვ.

ანგარიშის პირველ ნაწილში გაანალიზებულია აღნიშნულ პერიოდში დარგში არსებული ფინანსური მდგომარეობა, რაც მიზნად ისახავს საბითუმო ბაზრის მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებას.

მეორე ნაწილი დეტალურად განიხილავს მართვის ხელშეკრულების მდგომარეობას, ასახავს სესბ-ის ფუნქციონირებისას წამოჭრილ პრობლემებს და მათი შესაძლო დაძლევის ხერხებს.

მესამე ნაწილში გაანალიზებულია საბითუმო ბაზრის შესაძლო სტრუქტურული ცვლილებები.

მეოთხე ნაწილი დათმობილი აქვს დანართებს, სადაც ასახულია სხვადასხვა სახის ფინანსური მაჩვენებლები.

საბითუმო ბაზრის ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

- ელექტროენერჯის მოხმარების აღრიცხვიანობა (რადგანაც გამანაწილებელი სექტორის დიდი ნაწილის გაუმრიცხველიანობა არის ტოტალური არგადახდებისა და კორუფციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი);

- ფულის ამოღების ახალი სისტემის დანერგვა (რაც ითვალისწინებს ინკასატორის ინსტიტუტის გაუქმებასა და ბანკში სესბ-ის სპეციალურ ანგარიშზე გადახდის სისტემის დანერგვას);

- ნაღდი ფულის ამოღების მაჩვენებლის გაზრდა;

- ელექტროენერჯის მოხმარების კონტროლი (უნდა მოხდეს ყველა არგადამხდელი ორგანიზაციის გათიშვა ქსელიდან, რაც ხელს შეუწყობს ფულის ამოღების მაჩვენებლის ზრდას);

ანგარიშში ასახულია საბითუმო ბაზრიდან შესყიდული ელექტროენერჯის რაოდენობრივი მაჩვენებლები, საიდანაც ჩანს, რომ უდიდესი წილი შესყიდვებისა მოდის გამანაწილებელ კომპანიებზე, დაახლოებით 83,7%. აღნიშნული

ელექტროენერჯის 93,7%-ის მიწოდება განხორციელებულია სამი ძირითადი მიმართულებით:

სს "ეი-ი-ეს თელასი", სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" და აფხაზეთი.

პირდაპირ მომხმარებლებზე მოდის საერთო შესყიდვების 16,3%, რომლის 86,3% ნაწილდება 5 მსხვილ პირდაპირ მომხმარებელზე, ესენია:

სს "აზოტი", შპს "საქართველოს რკინიგზა", სს "ფერო", სს "მადნეული" და შპს "რუსთავცემენტი". მათი მოხმარება შეადგენს საერთო მოხმარების 12,7%.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მთელი ენერგოსექტორის ფინანსური მდგომარეობა დამყარებულია 3 გამანაწილებელი კომპანიისა და 5 პირდაპირი მომხმარებლის გადახდისუნარიანობასა და ნებაზე.

კერძოდ, სს "ეი-ი-ეს თელასი", სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" და აფხაზეთი, სს "აზოტი", შპს "საქართველოს რკინიგზა", სს "ფერო", სს "მადნეული", და შპს "რუსთავცემენტი" მოიხმარენ საერთო მოხმარების 95,5%-ს. თუ ამ მომხმარებლებს დავუმატებთ აჭარის ენერგოკომპანიას, "რელასს" და კახეთის "სინათლეს", მაშინ ეს მოიცავს შესყიდული ელექტროენერჯის 97%-ს.

აღნიშნულ პერიოდში გამანაწილებელი კომპანიების გადახდის მაჩვენებელმა შეადგინა დარიცხული თანხის 54,4%, რომელიც ითვალისწინებდა გადახდას ნაღდი ფულის, საბიუჯეტო ჩათვლებისა და ურთიერთჩათვლების გზით. მათ შორის ნაღდი ფულის გადახდა იყო მხოლოდ 2,7%, შესაბამისად:

	მთლიანი გადახდა	მ.შ. ნაღდი ფულის გადახდა
• სს "ეი-ი-ეს თელასი"	81.1 %	0 %
• "სგს ენერგოკომპანია"	31.5 %	5.5 %
• აფხაზეთი	0.02 %	0 %
• აჭარა	12.6 %	0 %
• "რელასი"	37,8 %	6,1 %
• კახეთის "სინათლე"	83.03 %	23.7 %

პირდაპირ მომხმარებლების გადახდის მაჩვენებელი შეადგენდა 28,8%-ს, მათ შორის ნაღდი ფულით 15%, შესაბამისად:

	მთლიანი გადახდა	მ.შ. ნაღდი გადახდა
• სს "აზოტი"	0 %	0 %

• შპს “საქართველოს რკინიგზა”	19.8 %	0.08 %
• სს ”ფერო”	37.7 %	30 %
• სს ”მადნეული”	102,6 %	0 %
• შპს “რუსთავეცემენტი”	0 %	0 %

საშუალოდ გამანაწილებელი კომპანიებიდან და პირდაპირი მომხმარებლებიდან მთლიანი თანხის ამოღების ღონემ შეადგინა დაახლოებით 44.44%, მათ შორის ნაღდი ფულით – 4.6%.

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც უზრუნველყოფს თანხის ამოღების დაბალ მაჩვენებელს, გახლავთ გამანაწილებელ სექტორში არსებული კორუფციული გარემო და ბუნდოვანი ფინანსური მდგომარეობა. გარდა ამისა, გამანაწილებელი კომპანიები მეტად მცირე თანხებს ურიცხავენ საბითუმო ბაზარს და შესაბამისად, გაურკვეველია, რა თანხები რჩება თვით გამანაწილებელ კომპანიებში. ფაქტობრივად, შესაძლებელია ითქვას, რომ გამანაწილებელი კომპანიები სესბ-თან ანგარიშსწორებას ახორციელებენ ე.წ. „ნარჩენი თანხების“ პრინციპით, ანუ პირველ რიგში მომხმარებლებიდან ამოღებული თანხები მიიძარბება თვით გამანაწილებელი კომპანიის ფინანსური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაუქმდეს ფულის ამოღების ინკასაციის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს კორუფციის წყაროს. მომხმარებლების მიერ გადახდილი თანხები უნდა განთავსდეს სპეციალურ საბანკო ანგარიშზე, საიდანაც გამანაწილებელი კომპანიები მომსახურების საფასურს მიიღებენ არსებული ტარიფისა და ამოღების შესაბამისად, ხოლო დანარჩენი თანხა გადაირიცხება საბითუმო ბაზრის ტრანსფერტულ ანგარიშზე.

მიუხედავად იმისა, რომ იქნება დიდი ზეწოლა სხვადასხვა ჯგუფებიდან, უნდა გაგრძელდეს არგადამხდელი ორგანიზაციების გამორთვა მაღალი ძაბვის მხრიდან. ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს თანხების ამოღების მაჩვენებლის შესამჩნევ ზრდას.

ამოღების გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებია მიღწეული მცირე გამანაწილებელ კომპანიებსა და პირდაპირ მომხმარებლებში.

## **შე თჩმფ ა გტდსშფსფ პფტრწ კსშუდუოფ**

2002 წელს სემეკის ელექტროენერგეტიკულ დეპარტამენტში შემოვიდა ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიატების, აგრეთვე ელექტროენერგიის მომხმარებლების 1022 წერილობითი კორესპონდენცია და განაცხადი.

შემოსული დოკუმენტები, ძირითადად, ეხებოდა ლიცენზირების საკითხს, ლიცენზიატთა ურთიერთობებს მომხმარებლებთან და სხვა ლიცენზიატებთან, მომსახურების საფასურის დადგენას, საწარმოო პერსონალის მიერ ლიცენზიის წესებისა და პირობების დარღვევას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ეი-ი-ეს თელასის“ ურთიერთობა მომხმარებელთან (414 წერილობითი განცხადება), რომელიც განიხილებოდა სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტთან ერთად. თავიანთ განცხადებებში მომხმარებლები ითხოვდნენ ფიქსირებული წესით (ოთახების რაოდენობის მიხედვით) დარიცხული ძველი დავალიანებების ახალ მრიცხველზე დაფიქსირებული საშუალო თვიური ხარჯის მიხედვით გადაანგარიშებას; მომხმარებელთა უმრავლესობა თვლიდა, რომ მათ მიმართ რიცხული ძველი დავალიანებები „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ არასწორად არის დაანგარიშებული; 2002 წლის ზამთარში მოქალაქეების შემოფოთების მიზეზს ელექტროენერჯის ჯგუფური გამორთვები წარმოადგენდა.

დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა, ერთის მხრივ, სს „ეი-ი-ეს თელასსა“ და მეორე მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტს შორის სადავო საკითხის მოგვარებაში, რომელსაც ძალიან დიდი დრო დასჭირდა. ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემების შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ აბონენტებს არასწორად ერიცხებოდათ სოლიდური თანხები. მაგალითად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომელიც არის 6-10 კვ ძაბვის მომხმარებელი, ერიცხებოდა თანხები 0,4 კვ ძაბვის მომხმარებლის ტარიფით, რის შედეგადაც ზედმეტად დაერიცხა 154 ათასი ლარი, რომელიც დეპარტამენტის აქტიური ჩარევით ჩამოეწერა.

იმართებოდა შეხვედრები თბილისის ცალკეული უბნის მოსახლეობასთან მათი ელექტრომომარაგების საქმეში არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით და სხვ.

#### **4ყ იგტუიკუმუმ პფჰჸთ თულეწკჸ**

#### **წჸ პფჰქქწქგკფბუიშთ მფტფქჸგ კწბუ ქგ პწქგკუწიშთ მუაფთუიფ**

2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე შეადგენს 1940 კმ-ს. აღნიშნული გაზსადენებით ხორციელდება ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მომხმარებლებისათვის და ტრანზიტი სომხეთში. გაზსადენების წლიური საპროექტო წარმადობაა 20 მილიარდი კუბური მეტრი.

2002 წლისათვის გაზის მოწოდებამ სულ შეადგინა 1883 მლნ მ<sup>3</sup>, მათ შორის: ტრანზიტით სომხეთს მიეწოდა 1070 მლნ მ<sup>3</sup>, საქართველოს მომხმარებლებს - 700 მლნ მ<sup>3</sup>. აქედან, მსხვილ მომხმარებლებს: “ეი-ი-ეს მტკვარს” – 75,4 მლნ მ<sup>3</sup>; თბილსრესს – 89,8 მლნ მ<sup>3</sup>; სს “აზოტს” – 167,8 მლნ მ<sup>3</sup>; ქ. თბილისს – 218,6 მლნ მ<sup>3</sup>, მ.შ. სს”თბილგაზს“-206,8 მლნ მ<sup>3</sup>.

საქართველოს გაზსადენების ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში

№	დასახელება	დიამეტრი მმ	სიგრძე კმ	აშენების წელი
1.	ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასია	1200	135	1988-1994
2.	ყაზახ-საგურამო	1000	112	1980
3.	ყარაღალ-თბილისი	800-700-500	110	1959-1968
4.	ვლადიკავკაზ-თბილისი	700	266	1963-1966
5.	საგურამო-ქუთაისი	700-500	370	1967-1975
6.	ქუთაისი-სოხუმი	700-500	338	1986-1989
7.	რუსთავი-თელავი-ჟინვალის	500-300-200	370	1969-1975
8.	წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი	500-300	180	1978-1990
9.	გომი-ხაშური-ბაკურიანი	500-300	59	1972-1989
	სულ:		1940	

აქედან, დღეისათვის სხვადასხვა მიზეზის გამო არ მუშაობს შემდეგი გაზსადენები:

1. ზუგდიდი-სოხუმი დ = 530 მმ 110,0 კმ.  
განშტოებები:  
გალი დ = 325 მმ 3,4 კმ.  
ოჩამჩირე დ = 530 მმ 1,5 კმ.  
სოხუმი დ = 530 მმ 0,5 კმ.
2. რუსთავი-კაჭრეთი დ = 30 მმ 55,0 კმ.  
დ = 25 მმ 30,0 კმ.
3. დმანისი – ალასტანი დ = 25 მმ 92,0 კმ.
4. ქობულეთის განშტოება დ = 530 მმ 67,3 კმ.
5. ფოთის განშტოება დ = 530 მმ 7,0 კმ.  
დ = 219 მმ 13,3 კმ  
დ = 159 მმ 21,5 კმ
6. ცხინვალის-ჯავა დ = 325 მმ 21,3 კმ
7. ვლადიკავკაზ – თბილისის გამორთული მონაკვეთები  
დ = 720 მმ 4,6 კმ  
დ = 530 მმ 22,0 კმ
8. ყარაღალ-თბილისის გამორთული მონაკვეთები  
დ = 530 მმ 26,1 კმ  
სულ 475,8 კმ.

აქედან გამომდინარე, დღეისათვის ექსპლუატაციაში ჩართული 1464,2 კმ მაგისტრალური გაზსადენი.

გაზსადენები გაყვანილია რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში და 2400 მ სიმაღლეზე კვეთს კავკასიონის მთავარ ქედს. გაზსადენების უმაღლეს და უმდაბლეს წერტილებს შორის ღონეთა სხვაობა აღწევს 2000 მ-ს. სულ გაზსადენი კვეთს 600 მ-ზე მეტ ბუნებრივ და ხელოვნურ ზღუდეს. 9 კმ სიგრძის გაზსადენი გაყვანილია სპეციალურად აგებულ 14 გვირაბში. 1100 კმ-ზე მეტი სიგრძის გაზსადენი აშენებულია 1959-1975 წლებში. გაზსადენების ხანდაზმულობა, რთული რელიეფური და კლიმატური პირობები, განსაზღვრავს განსაკუთრებულ მოთხოვნებს მათი ექსპლუატაციის მიმართ.

1991-1994 წლებში, ქვეყანაში არასტაბილურობის პერიოდში, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროქიმიური დაცვის სისტემა, დატაცებულ იქნა კათოდური სადგურები და ელექტროდრენაჟული დანადგარები, მათი მკვებავი საკაბელო და საჰაერო ელექტროხაზები. დარჩენილი მცირე ნაწილი კი არასტაბილური ელექტრომომარაგების გამო არ ფუნქციონირებს.

პრაქტიკულად უკანასკნელ 8-10 წლის განმავლობაში მაგისტრალური გაზსადენები აღმოჩნდა ელექტროქიმიური დაცვის გარეშე. შედეგად, თუ გავითვალისწინებთ გაზსადენების უდიდესი ნაწილის განლაგებას მაღალი აგრესიულობის გრუნტებში, დაიწყო კოროზიული პროცესების ინტენსიური განვითარება, რამაც გამოიწვია გაზსადენების დაზიანებები.

გაზსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოყენებული ჩამკეტი და მარეგულირებელი არმატურა (ონკანები, რეგულატორები, სარქველები), თავისი ტექნიკური მდგომარეობით არ შეესაბამება უსაფრთხოებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მოთხოვნებს. არასაკმარისად არის აღჭურვილი საექსპლუატაციო სამსახურები სამშენებლო მექანიზმებით, სპეცტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვ.

გაზის გაჟონვების ლიკვიდაციისა და მოსალოდნელი ავარიების თავიდან აცილების მიზნით:

- მდინარე სუფსაზე აშენდა მიწისზედა გადასასვლელები №1, №2 და №3;
- მდინარე ნატანებზე აშენდა მიწისზედა გადასასვლელი;
- მდინარე ბახვისწყალზე აშენდა მიწისზედა გადასასვლელი;
- სოფელ ზოვრეთში შესრულდა გაზსადენის აღდგენითი სამუშაოები 172-174კმ-ზე;
- სოფელ ახალსოფლის 24-26კმ-ზე აღდგა გაზსადენი;
- ქობულეთის განშტოების 21-22კმ-ზე შესრულდა გაზსადენის აღდგენითი სამუშაოები;
- მდ. ბუჯაზე გამაგრდა საყრდენი ბურჯები;
- მიმდინარეობს საგურამო-გორის ადრე დაუმთავრებელი დ=700მმ-ანი მაგისტრალური გაზსადენის გამთლიანების სამუშაოები;
- მოეწყო ჩრდილოეთ-ამიერკავკასიის დ=1200მმ მაგისტრალური გაზსადენის დამცავი კედელი და შეიცვალა მდ. ყუროს კალაპოტი (62-ე კმ-ზე);
- ვლადიკავკაზ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის 61,5კმ დ=1200 და დ=700მმ მილსადენების გასწვრივ მოეწყო ღვარცოფსაწინააღმდეგო კედელი;

- ჩატარდა ვლადიკავკაზ-თბილისის მაგისტრალური დ=700მმ გაზსადენის 132-ე კმ (სიპისკარი) საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- შესრულდა საგურამო-გორის დ-500 მმ გაზსადენის მდ. არაგვზე საჰაერო გადასასვლელის რკინაბეტონის საყრდენთან მარცხენა ნაპირის გამაგრების სამუშაოები;
- კაპიტალურად შეკეთდა ჩრდილო კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური დ=1200მმ გაზსადენის 200კმ-ზე გადებული გაზსადენი და ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მთლიანად, საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებზე 2001 წლის მეორე ნახევარში და 2002 წელს კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის ხაზით შესრულებულია 4,0 მლნ-ზე მეტი ლარის სარეაბილიტაციო, სარემონტო-აღდგენითი და პროფილაქტიკური სამუშაოები.

### **გაზის დანაკარგების შემცირებისათვის გატარებული ღონისძიებები:**

კაპიტალური რემონტის ხარჯების გამოყოფის გარეშე, უშუალოდ საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის სახაზო საექსპლუატაციო ფილიალების მიერ საკუთარი ძალებით გაზის დანაკარგების შემცირებისათვის გამოვლენილი და ლიკვიდირებულია გაზის გაჟონვები გაზსადენის კოროზიული დაზიანების ადგილებში. შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

#### **1. ყაზბეგის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი**

- 58 კმ-ზე დ=700მმ-ანი გაზსადენის დემონტაჟი და მონტაჟი 15გრძ./მ-ზე;
- შეჭრა დ=700მმ-ან გაზსადენზე სოფელ სნოს გგს-ის ჩასართავად;

#### **2. ქვეშეთის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი**

- 118კმ-ში №6 გვირაბის პორტალის მშენებლობა;
- გვირაბების შესასვლელში ლითონის გისოსური უვარგისი კარების გამოცვლა-დამონტაჟება;
- 233,3კმ-ზე ჩამორეცხილ გაზსადენზე იზოლაციის აღდგენა (დ=1200მმ);
- 154,3კმ-ში სოფ. არაგვისპირთან, მდინარე არაგვის მარჯვენა მხარეს საჰაერო გადასასვლელების მიწიდან ამოსასვლელზე კოროზიული მილის ჩაჭრა და კოჭის დაყენება 4გრძ./მ-ზე (დ=700მმ);
- საკომპრესორო სადგურის გარე ელექტრომომარაგების ხაზის კაპიტალური შეკეთება;
- ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეკეთება;
- დ=700მმ-ანი მაგისტრალური გაზსადენის 102, 114 და 139კმ-ზე არსებულ საჰაერო გადასასვლელებზე მიწიდან ამოსასვლელების იზოლაციების აღდგენა. საჰაერო გადასასვლელების ბადე-წინალობების აღდგენა 3 ადგილზე;
- 185, 200 და 228კმ-ში არსებულ საონკანო მოედნებზე მდებარე მაღალი წნევის ონკანების შეკეთება, იზოლაციების აღდგენა და ონკანების ყელის შეღებვა, ბადე-წინალობების მოწყობა მე-200კმ-ზე;
- 96, 102, 114, 119, 119,2 და 138კმ-ში საონკანო მოედნებზე მაგისტრალური ონკანების ყელის იზოლაციების აღდგენა და მათი შეკეთება;
- ქუბრიანთკარის გგს-ში გაზის წნევის რეგულატორის კაპ.შეკეთება;

- საკომპრესორო სადგურის შემაერთებელი კვანძის დგუშის გასაშვები კამერის რკინაბეტონის არსებული საყრდენის გამაგრება;
- გულაურის გგს-ზე მაღალი წნევის რეგულატორის შეკეთება. გგს-ის გადახურვის ნაწილობრივ შეკეთება;
- დ=700მმ-ანი გაზსადენის 114კმ-ზე საონკანო მოედნის დამცავი კედლის მოწყობა ქვით.

### 3. საგურამოს სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი

- გარდაბნის რაიონის სოფ. ლელაშხის გაზმომარაგების რეკონსტრუქცია (მიწისზედა გაზსადენის მონაკვეთის მონტაჟი გარდაბნის გგს-დან სოფ. ლელაშხის განშტოებამდე დ=219მმ-ანი მილებით);
- ყაზახ-საგურამოს დ=1020მმ-ანი გაზსადენის 64კმ-ზე დ=700მმ-ანი სახაზო ონკანის მონტაჟი;
- გარდაბნის გგს-ი. სოფ. ლემშვენიერას განშტოების მონტაჟი და ყაზახ-საგურამოს 59,6კმ-ზე შეჭრა;
- ვლადიკავკაზ-თბილისის გაზსადენის (დ=700მმ-ანი) 186-ე კმ-ზე გაზსადენიდან გაზის დატაცების ლიკვიდაცია 6 ადგილზე;
- რუსთავის გგს-თან და ყარაღალ-თბილისის გაზსადენის 476, 484, და 485კმ-ზე შეჭრითი სამუშაოები;
- ყაზახ-საგურამოს დ=1000მმ-ანი მაგისტრალური გაზსადენის 25-ე კმ-სა და ყარაღალ-თბილისის 484კმ-ის (დ=700, 500მმ)-ის შესაკრავის მშენებლობა და რუსთავის განშტოებაზე სამკაპას შედუღება;
- ქესალო-მარნეულის მონაკვეთზე 0,1; 15; 15,1 კმ-ებზე გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია;
- ნორიოს განშტოების 0,5კმ-ზე გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია;
- იგოეთი-გორის (დ=500მმ-ანი) 47,8 და 50კმ-ებზე გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია ორჯერ;
- ყაზახ-საგურამოს (დ=1000მმ-ანი) 54,5კმ-ზე გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია;
- ქესალო-მარნეული-თამარისის (დ=300მმ-ანი) მე-19 და 32 კმ-ებზე გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია 5-ჯერ;
- გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია მაგისტრალურ გაზსადენებზე (ნორიოს განშტოებაზე 0,3 და 0,35 კმ-ებზე, ყარაღალ-თბილისის 497კმ-ზე, ნავთლულის გგს-ის რედუცირების დარბაზში);
- გარდაბნის რაიონში სოფ. ჯანდარის გამზომი კვანძის მონტაჟი;
- სოფ. ქვემოჭალის აგგს-ის დემონტაჟი, დაკომპლექტება და გადატანა ყაზახ-საგურამოს გაზსადენის 59,6კმ-ზე სოფ. ლემშვენიერაში;
- ნაჭარმაგევის აგგს-ი. შეჭრა და ურდულის დაყენება (მაღალი წნევის დ=150მმ-ანი);
- კასპის გგს-ი. ს.ს."კასპიცემენტის" აღრიცხვის კვანძის შეკეთება, დიაფრაგმის გამოცვლა. მწყობრიდან გამოსული რეგულატორის შეკეთება;
- აგგს სოფ. ფერმა. შპს "ევროცემენტის" ხაზის რეკონსტრუქცია. სააღრიცხვოში მილების შეცვლა 2დ მანძილზე, შეცვლა მილტურების, კამერების, დიაფრაგმის, ხარჯმზომი ხელსაწყოების;



- “გამა-1”-ის აგს-ი. გამზომი კვანძის მოწყობა და ტურბინული მრიცხველის მონტაჟი;
- აგს “გამა-II”. ტურბინული მრიცხველის მონტაჟი;
- ბოლნისის აგს-ი. ქალაქის ხაზზე ოდორიზაციის სისტემის შეკეთება, წნევის თვითჩამწერი მანომეტრის დამონტაჟება, მწყობრიდან გამოსული რეგულატორის შეკეთება;
- ნავთლულის გგს-ი. მტვერდამჭერზე დ=50მმ-ანი ონკანის შეცვლა;
- გლდანის გგს-ი. სს “თბილგაზის” მიერ ხარჯების ცვალებადობის გამო ხარჯმზომი ხელსაწყოების და დიაფრაგმების შერჩევა-დაყენება;
- გაჩიანის აგს-ი. მწყობრიდან გამოსული მაღალი წნევის რეგულატორის რდ-80-ის შეკეთება;
- აგარის აგს-ი. მწყობრიდან გამოსული რეგულატორის აღდგენა;
- მეჯვრისხევის აგს-ი. აღრიცხვის კვანძის შეცვლა. ახალი სგ-800 მრიცხველის დამონტაჟება, ოდორიზაციის სისტემის აღდგენა;
- რუსთავის გგს-ში ქალაქის ხაზზე დიაფრაგმის შემავიწროებელი საყელურის შეცვლა;
- რუსთავის გგს-ი. სს.“აზოტის” ხაზს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია (შეიცვალა: მილი 2დ მონაკვეთზე, მილტუჩები, კამერები, დიაფრაგმის შემავიწროებელი საყელური, საიმპულსო ხაზები);
- გარდაბნის გგს-ი. მტვერდამჭერზე შეიცვალა დ=50მმ-ანი ონკანი;
- რუსთავის გგს-ი. აგს-ის ხაზზე მწყობრიდან გამოსული ტურბინული მრიცხველის შეცვლა;
- იგოეთი-გორის გაზსადენის 51კმ-ზე გაზის გაჟონვების ლიკვიდაცია 2 ადგილზე;
- სახაზო ონკანების პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები (№26 ონკანი დ=700მმ-ანი, მდ. ალგეთის გადაკვეთაზე 4ც ონკანი დ=500მმ-ანი, მულანლოს განშტოებაზე დ=200მმ-ანი ონკანი 1ც, ჩრდილო კავკასიის-ამიერკავკასიის 257კმ-ზე დ=1200მმ-ანი ონკანი);
- დ=200მმ-დან დ=100მმ-ზე გადამყვანების დამზადება. დასავლეთ საქართველოს განშტოების 0კმ-ზე დ=100მმ-იანი რეგულატორის შეჭრა. გგს გარდაბანში სრესის გაზის ხარჯის აღრიცხვის ხაზის რეკონსტრუქცია;
- გგს-ში გაჟონვების ლიკვიდაცია ვენტილებზე და ონკანებზე: გლდანში, გარდაბანში, რუსთავში, ცხინვალის ხაზზე;
- გგს-ში ოდორიზაციის სისტემების გადაკეთება-აღდგენა (გაჩიანში, გარდაბანში);
- შავშვების აგს-ის აღდგენა, ექსპლუატაციაში გასაშვებად მომზადება.

#### **4. თერჯოლის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი**

- მაგისტრალური გაზსადენის ზესტაფონის განშტოების დაზიანებული 273მმ-იანი გაზსადენის რეკონსტრუქცია;
- ქუთაისი-სოხუმის გაზსადენის მე-10კმ-ზე დივერსიის გამო აფეთქების შედეგად დაზიანებული გაზსადენის მონაკვეთის აღდგენა;
- მაგისტრალური გაზსადენის ზესტაფონის განშტოების მე-4კმ-ზე 3 კოროზიული ადგილის აღდგენა, სადაც ადგილი ჰქონდა გაზის გაჟონვებს;

- წყალტუბოს გგს-ში 2ც დაზიანებული ონკანის აღდგენა დ=150მმ-იანი და დ=100მმ-იანი.
- მაგისტრალური გაზსადენის ზესტაფონის განშტოებაზე კოროზიული ადგილების აღდგენა საკერებლებით 4 ადგილზე;
- მაგისტრალური გაზსადენის ზესტაფონის განშტოების Iკმ-ზე სოფ. დილიკაურში კოროზიული გაზსადენის აღდგენა საკერებლების დადუღებით 2 ადგილზე.

### **5. გურჯაანის სახაზო-საექსპლუატაციო ფილიალი**

- სოფ. ყიბანში მდ. ფაფრის ხევი 120 გრძ./მ-ზე მილსადენების გამოცვლა-ჩალაგება და მიწით დაფარვა;
- კაჭრეთის ზონაში გაზსადენის დატაცების მცდელობასთან დაკავშირებით გახსნილ გაზსადენზე მიწის მიყრის სამუშაოები 1000გრძ/მ-ზე;
- ახმეტა-თელავის მონაკვეთის ქისტაურის ტერიტორიაზე დაახლოებით 146კმ-ზე ჭაობში მაღალი წნევის გაზსადენზე აღმოჩენილი გაზის გაჟონვების აღმოფხვრა. ხვრელის დიამეტრი 8მმ;
- საგარეჯო-რუსთავის გაზსადენის დ=300მმ-ანი მაგისტრალის გაუქმებასთან და მიღების ამოღებასთან დაკავშირებით ონკანების ამოჭრა მაგისტრალიდან;
- ყვარელში მაღალი წნევის გაზსადენზე გგს-ში მწყობრიდან გამოსული ტურბომრიცხველის აღდგენამდე როტაციული მრიცხველის დამონტაჟება რგ-100;
- სოფ. ბაკურციხეში მაღალი წნევის გაზსადენზე დ=100მმ ონკანების დამონტაჟება რედუცირების ბლოკში. ბაკურციხის ზონაში 10 ადგილზე აღმოჩენილი გაჟონვის აღმოფხვრა;
- წნორში მაღალი წნევის გაზსადენზე რგ-800 ტიპის არზამასის ტურბომრიცხველის და გამფილტრავი მოწყობილობის დაყენება ა/მანქანა “კამაზის” ტიპის ჰაერის ფილტრის ბაზაზე (წნორი-ჭიაური-ლაგოდეხის ზონაში);
- ახმეტაში მაღალი წნევის გაზსადენზე აგრს-დან 500 მეტრის დაშორებით მრიცხველის ჩაყენება (ახმეტის ზონაში);
- თელავის ზონაში მაღალი წნევის გაზსადენიდან რდ-50 ტიპის რედუცირების ბლოკის ამოჭრა და კოჭის ჩაყენება 100მმ-ანი მილით;
- წნორი-ჭიაური-ლაგოდეხის მაღალი წნევის მაგისტრალზე დ=300მმ-ანი მონაკვეთის მდ. ალაზანთან ჭიაურის ზონაში გაზის გადინებების აღმოფხვრები, ასევე კაჭრეთის განშტოების ურდულის და გრსს-ის, გურჯაანის გგს-ის და ვაზისუბნის აგსს-ის განშტოების ურდულების რევიზია-შეკეთებები;
- ახმეტის რაიონში მდ. ორვილზე გამავალი მაღალი წნევის დ=300მმ-ან მაგისტრალზე წყალდიდობის შედეგად გამოცლილი საყრდენების აღდგენა;
- საოდორიზაციო კვანძების დამზადება – 8ც.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საფრანგეთის ფირმა “სოფრეგაზის” და “ტასისის” დაფინანსებით დანიის ფირმა “რამბოლის” მიერ 2002 წლის ივლისიდან დაიწყო ორი სარეაბილიტაციო პროექტის დამუშავება.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებენ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციის ბიზნესგეგმების შედგენას და დოკუმენტაციის

მომზადებას საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში წარდგენისათვის, ინვესტიციების მოსაზიდად.

2002 წელს დაიწყო და ამჟამადც მიმდინარეობს სამუშაოები შემდეგი მიმართულებებით: გაზის მოხმარების პერსპექტიული ღონეების განსაზღვრა და გაზსადენების ჰიდრაულიკური გაანგარიშება; საჭირო მაქსიმალური წნევების დადგენა რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების შემდეგ, გამომდინარე გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობიდან; გაზსადენების ოპერირების ფილოსოფია (რეკომენდაციები სისტემის მართვის შესახებ).

ამჟამად დანიის ფირმა “რამბოლი” კორპორაციისა და კომპანიის სპეციალისტებთან ერთად ახორციელებს ორ სადემონსტრაციო კომპიუტერულ პროექტს:

1. **გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა (GIS):** სპეციალური ხელსაწყოებით (GPS), დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე ორიენტირებით, განისაზღვრება გაზსადენების და მასზე დამახასიათებელი წერტილების (გაზის გამანაწილებელი სადგურები, აღრიცხვის კვანძები, ჩამკეტი ონკანები, პოტენციალების გამზომი საკონტროლო პუნქტები და სადგურები და ა.შ.) კოორდინატები, რომლებიც სპეციალური პროგრამით შეიტანება კომპიუტერში და დაიტანება კომპიუტერშივე შეტანილ მსხვილმასშტაბიან გეოგრაფიულ რუკაზე. შედეგად გეოგრაფიულ რუკაზე დატანილი იქნება გაზსადენი და ყველა ნაგებობა. სათანადო პროგრამით შეიტანება აგრეთვე ნაგებობების აქსონომეტრიული ნახაზები. პროგრამა საშუალებას იძლევა თვალსაჩინოდ იქნეს წარმოდგენილი სიტუაცია გაზსადენის ნებისმიერ წერტილში, აგრეთვე შესრულდეს გაზსადენის პროფილი ნებისმიერ მონაკვეთზე და ა.შ.
2. **მენეჯმენტის (მართვის) სისტემა (MMS):** სისტემა მოიცავს გაზსადენებზე სამუშაოების შესრულებას (გეგმური, გადაუდებელი, საავარიო), მასალებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფას (საწყობი, ხარჯვა, მომწოდებლები, ფასები) და ა.შ.

პროექტი ითვალისწინებს მიწისქვეშა საცავის შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენას.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტებით სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება გათვალისწინებულია 2004 წლიდან, შერჩეულია პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებისთვისაც გატარდება ღონისძიებები ინვესტიციების მოსაზიდად და სამუშაოების შესასრულებლად 2003 წლისათვის, მათ შორის:

- ყაზახ-საგურამოს  $d=1000$ მმ მაგისტრალური გაზსადენის 44-57კმ (13კმ)-ის გადართვა პარალელურად გამავალ  $d=1200$ მმ მშენებლობით დაუმთავრებელ გაზსადენზე;
- საგურამოს ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის მშენებლობა;
- გაზსადენების ამოსაცნობი ნიშნების დაყენება;
- გაზსადენებზე კათოდური დაცვის გაზომვის პუნქტების აღდგენა და სხვ.

საქართველო გაზიფიკაციის ღონით ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ბუნებრივი გაზით გაზიფიცირებული იყო 48 ქალაქი

და 230 სოფელი, 600 ათასი ბინა, 800 საწარმო, 1500 გამთბობი საქვაბე, 2000 კომუნალური ობექტი. აშენდა 8 ათასი კმ გამანაწილებელი ქსელი. 1989 წელს ბუნებრივი გაზის მოხმარებამ 6 მილიარდ მ<sup>3</sup>-ს მიაღწია, რამაც ქვეყნის სათბობის ბალანსის 60% შეადგინა.

დღეისათვის გაზის მოხმარება მკვეთრად შემცირდა და მხოლოდ 0,7 მლრდ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს წელიწადში. ეს, ძირითადად, გამოწვეულია მსხვილი საწარმოების უმოქმედობით, გამანაწილებელი ქსელის გაუმართაობით და მოსახლეობის გადახდისუუნარობით.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 48 გაზიფიცირებული ქალაქიდან გაზით სარგებლობს მხოლოდ 29, ხოლო 230 სოფლიდან – სულ რამდენიმე. სულ გაზით სარგებლობენ გაზიფიცირებული ბინების მხოლოდ 35-40%-ში.

ქ. თბილისში 1989 წელს გაზიფიცირებული იყო 293000 ბინა, ბუნებრივი გაზის მოხმარება შეადგენდა 2 მლრდ მ<sup>3</sup>, აქედან, 1 მლრდ მ<sup>3</sup>- ცენტრალიზებულ გათბობაზე. დღესდღეობით გაზიფიცირებულია დაახლოებით 180000 ბინა, მ.შ. ექსპლუატაციაშია 120000 ბინა, მოხმარება კი შეადგენს 218,6 მლნ მ<sup>3</sup>-ს წელიწადში.

## **ბ) ლიცენზირება**

ლიცენზირების წესები და პირობები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ადგენს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სექტორში დასაქმებული ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე განსაზღვრავს ლიცენზიის გაცემასთან, მოდიფიცირებასთან, შეჩერებასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ წესებს, პირობებსა და პროცედურებს.

2002 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, მიწოდებისა და განაწილების 23 ლიცენზია, რომელთა მფლობელები გახდა 15 ლიცენზიატი.

### **ეკოტონოკეპკუიშო დოსუტჭშე**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის „1“-ლი პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია იურიდიულ პირს უფლებას აძლევს განახორციელოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება შესაბამისი სისტემის საშუალებით. სემეკის მიერ 2002 წელს ტრანსპორტირების ლიცენზია არ გაცემულა. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ფლობს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიას, არის შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რომლის ლიცენზია მოდიფიცირდა ვადის გასვლასთან დაკავშირებით (გადაწყვეტილება №42, 10. 05. 2002 წ) სერია - 220 №059.

### **ქმცწ ფუიშო დოსუტჭშუიშ**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის „1“-ლი პუნქტის თანახმად, სემეკ-ის მიერ გაცემული ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზია იურიდიულ პირს ან ინდივიდუალურ მეწარმეს უფლებას

აძლევს იყიდოს და/ან გაყიდოს ბუნებრივი გაზი სხვა მიწოდების ლიცენზიაზე ან მომხმარებელზე. სემეკის მიერ 2002 წელს გაცემულია 15 მიწოდების ლიცენზია.

### **ბუნებრივი გაზის მიწოდების დონორების**

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის „1“-ლი პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზია უფლებას აძლევს იურიდიულ პირს ექსპლუატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და გაანაწილოს ბუნებრივი გაზი განსაზღვრული ადმინისტრაციული ან გეოგრაფიული ზონის ან კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში. სემეკის მიერ 2002 წელს გაცემულია 8 განაწილების ლიცენზია.

ლიცენზიების დანართში მოყვანილი ცვლილებების გამო, მოდიფიცირება ჩაუტარდა 12 ლიცენზიატს. მონაცემები ამის შესახებ მოყვანილია №8- დანართში.

№7 დანართში მოყვანილია 2002 წელს ლიცენზირებული ორგანიზაციების სია, ხოლო №9 დანართში მონაცემები 1999-2002 წლებში, ყველა ლიცენზირებული ორგანიზაციის შესახებ.

### **შედეგების მიხედვითი მონაცემები ფუნქციონირების სფეროში**

ბუნებრივი გაზის მეურნეობების რეალური მდგომარეობის შესწავლის მიზნით სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტმა შეისწავლა სს“თბილგაზის” ლიცენზიის შესრულების პირობები:

1) სს “თბილგაზის” მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქ. თბილისის გამანაწილებელ ქსელში სრული დანაკარგების (ტექნიკური+კომერციული) დინამიკა შემდეგნაირია:

1997 წელი-9,6 მლნ. მ<sup>3</sup> – 20,3%-წლიური მიწოდება 47,2 მლნ. მ<sup>3</sup>  
1998 წელი –28,9 მლნ. მ<sup>3</sup>-39,2%- წლიური მიწოდება 73,7 მლნ. მ<sup>3</sup>  
1999 წელი-47,4 მლნ. მ<sup>3</sup>-50,9%- წლიური მიწოდება 93,1 მლნ. მ<sup>3</sup>  
2000 წელი-40,8 მლნ. მ<sup>3</sup>-37,4%- წლიური მიწოდება 109,1 მლნ. მ<sup>3</sup>  
2001 წელი-100,3 მლნ. მ<sup>3</sup> – 63,2% -წლიური მიწოდება 158,7 მლნ. მ<sup>3</sup>  
2002 (წელი) – 142,6 მლნ. მ<sup>3</sup> -68,89%-9 თვის მიწოდება-206,8 მლნ. მ<sup>3</sup>

2) თანხების ამოღება მომხმარებლებისაგან სს “თბილგაზის” მონაცემებით შემდეგნაირია:

1999-35,11%  
2000-37,19%  
2001-35,15%  
2002-51%

3) სს “თბილგაზის” მონაცემებით კრედიტი სახელმწიფოს მხრიდან წლების მიხედვით შეადგენს:

2000 წელი – 0,8 მლნ. ლარი

2001 წელი – 9,4 მლნ. ლარი  
2002 წელი – 14,5 მლნ. ლარი

4) სს “თბილგაზის” მონაცემებით, ორგანიზაციის ზარალი წლების მიხედვით შეადგენს:

1997- 675,4 ათასი ლარი  
1998 – 2 644 ათასი ლარი  
1999 – 7 314,1 ათასი ლარი  
2000 – 5 750,1 ათასი ლარი  
2001 – 18 424,1 ათასი ლარი  
2002 – 28 790,4 ათასი ლარი

5) უსაფრთხოების თვალსაზრისით, სს “თბილგაზის” მდგომარეობა ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის მონაცემების მიხედვით შემდეგია: ქ.თბილისის გაზმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია დაუშვებელია. საცხოვრებელ ბინებში გაზის ხელსაწყოების არასწორად დამონტაჟების გამო, გახშირდა უბედური შემთხვევები კერძოდ, იყო სიკვდილიანობის 25 შემთხვევა (გასულ ზამთარში). ავარიების რაოდენობა გაზის ქსელებზე 1997 წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით შვიდჯერ (1997 წელი –28 ავარია, 1998 წელი – 39 ავარია, 1999 წელი –52 ავარია, 2000 წელი - 88 ავარია, 2001 წელი – 202 ავარია, 2002–195 ავარია). იყო არა ერთი შემთხვევა, როდესაც მოხდა საშუალო წნევის გადასვლა დაბალი წნევის ქსელში და ა.შ.

6) აღსანიშნავია გაზმომარაგების რეჟიმის უმართაობა – ეს იწვევს მომხმარებლებთან წნევების ვარდნას და გარკვეულ რაიონებში გაზის გამორთვას. გახშირდა მოსახლეობის საჩივრები, განსაკუთრებით ნუცუბიდის პლატოზე, ნაწილობრივ ვაკეში და ვაჟა-ფშაველას პროსპექტის მიდამოებში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ა.შ.

7) უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი გაზის მიღების და რეალიზაციის აღრიცხვიანობის მდგომარეობა სს “თბილგაზში” (საქსტანდარტის მიერ სს “თბილგაზის” შემოწმების დოკუმენტის თანახმად) - მოუწესრიგებელია. საქსტანდარტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში დაფიქსირებულია უამრავი დარღვევა.

8) არ არის გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის მიწოდებელთან 2003 წლისთვის გაზის ნასყიდობის შესახებ, რაც საფრთხეს უქმნის ქ. თბილისის გაზმომარაგებას.

9) სს “თბილგაზს” გააჩნდა სემეკის რეგულირების საფასურის დებიტორული დავალიანება 2003 წლის 1 იანვრისათვის 167 550 ლარის ოდენობით.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები წლიდან წლამდე არა თუ უმჯობესდება, არამედ უარესდება. სემეკში იყო წარმოდგენილი რეაბილიტაციისა და აღრიცხვიანობის მოწესრიგების პროგრამები, თუმცა არც ერთი მათგანი პრაქტიკულად არ შესრულდა. ხორციელდება მცირე მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ისინი სრულდება ელექტროქიმიური დაცვის გარეშე, რაც ფაქტობრივად დახარჯული თანხის გადაყრის ტოლფასია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უხეშად ირღვევა მომხმარებელთა უფლებები და არ სრულდება ლიცენზიების პირობები. აღნიშნული დარღვევები და ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების შეუსრულებლობა მეტყველებს იმაზე, რომ სს “თბილგაზში” კარდინალურად შესაცვლელია მენეჯმენტი.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სემეკის სხდომაზე (გადაწყვეტილება №106, 27.12.02წ.).

ბოლო ათწლეულში, საქართველოში გაზის გამანაწილებელ სისტემებში მკვეთრად გაიზარდა ბუნებრივი გაზის დანაკარგები. მიუხედავად საყოფაცხოვრებო სექტორში მომხმარებლების აღრიცხვის ხელსაწყოებით აღჭურვისა, ზოგიერთ მეურნეობაში დანაკარგებმა, სტატისტიკური აღრიცხვის შესაბამისად, დაუშვებელ დონეს მიაღწია (40-50 %), რომელიც შედგება როგორც ტექნიკური, ასევე კომერციული დანაკარგებისაგან. კომერციული დანაკარგები შედგება მრიცხველის ჩვენების განზრახ გაყალბების, მრიცხველის გვერდის ავლით გაზის მოხმარების და სხვა შემადგენლებისაგან. ამ ეტაპზე მათი განხილვა ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდება.

რაც შეეხება ტექნიკურ დანაკარგებს, მათი გამომწვევი მიზეზები შემდეგია:

-საქართველოს გაზის გამანაწილებელ თითქმის ყველა მეურნეობაში გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობა არაადაქმაყოფილებელია. კოროზიისაგან ელექტროქიმიური დაცვის დანადგარები გაძარცვულია და არ მუშაობს. მათი აღდგენის შემთხვევაშიც კი დაცვის სისტემა ვერ იმუშავებს მრავალ ქალაქში, რადგანაც არ იქნება უზრუნველყოფილი მუდმივი ელექტრომომარაგება;

- საამორტიზაციო ვადა – 40 წელი გაუვიდა ასობით კილომეტრ გაზსადენს და მოითხოვს შეცვლას, რისი სახსრებიც არც ერთ მეურნეობას პრაქტიკულად არ გააჩნია;

- მძიმე ფინანსური მდგომარეობისა და საბრუნავი სახსრების უქონლობის გამო გაზის მეურნეობებს არა აქვთ საშუალება იქონიონ მიღების, ჩამკეტი და მარეგულირებელი მოწყობილობის, საიზოლაციო და სხვა მასალების საავარიო მარაგი;

- გაზის მეურნეობებს არ გააჩნიათ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული და პრაქტიკულად გამოუსადეგარია.

გარდა ამისა, გაზის გამანაწილებელ მეურნეობებში არსებობს კიდევ

შემდეგი სახის დანაკარგები:

- გაზის გაჟონვები გაზსადენებში, ნაგებობებსა და მოწყობილობებში ჩვეულებრივ პირობებში;

- დანაკარგები შენობების გაზგაყვანილობებში;

- დანაკარგები გაზგამანაწილებელ სისტემებში ავარიების შედეგად;

- დანაკარგები გაზსადენის დაცლისას, შეჭრითი სამუშაოების წარმოებისათვის;
- დანაკარგები გაზსადენების გაქრევისას გაზით შევსების დროს;
- დანაკარგები გაზმარეგულირებელი პუნქტების დამცავ-საგდები სარქველებიდან ღამის საათებში, გაზის მოხმარების მკვეთრად შემცირების დროს;
- დანაკარგები მოწყობილობის რეგულირებისას და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გაზმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია თანხების უქონლობის გამო შეუძლებელია.

გაზსადენებში დანაკარგების აბსოლუტური სიდიდე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე – გაზის წნევაზე, გაზსადენის დიამეტრსა და სიგრძეზე, მის ტექნიკურ მდგომარეობაზე, გაზმარეგულირებელი პუნქტების რაოდენობაზე და ა.შ.

გაზსადენებში დანაკარგების აბსოლუტური სიდიდე მეტ-ნაკლებად სტაბილური სიდიდეა და დამოკიდებული არ არის გატარებული გაზის რაოდენობაზე. ასე მაგალითად, ღამის საათებში, როდესაც მოხმარება მინიმალურია, დანაკარგები კი არ მცირდება, არამედ პირიქით, იზრდება.

რაც შეეხება დანაკარგების პროცენტულ რაოდენობას, იგი დამოკიდებულია გატარებული გაზის რაოდენობაზე. მაგალითად, თუ გაზის წლიური მოხმარება იყო 100 მილიონი კუბური მეტრი, ხოლო დანაკარგი 5 მილიონი, დანაკარგების პროცენტი 5-ს შეადგენს. იგივე 5 მილიონი დანაკარგი 200 მილიონი კუბური მეტრის მოხმარებისას მხოლოდ 2,5 % -ია. ეს მარტივი მაგალითიც კი გვიჩვენებს, რომ დანაკარგების პროცენტული გაანგარიშება არასწორად ასახავს არსებულ მდგომარეობას.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი (მეთოდოლოგია), რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში გაზის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სემეკის თავმჯდომარის 2002 წლის 28 მაისის №8/1 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ მოწვეული სპეციალისტებიც. ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია:

1. იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ხანებში გაზსადენების ჩართვა, როგორც წესი, ხორციელდება მათი გამოცდების ჩატარების შემდეგ და ერთეულ სიგრძეზე მცირდება ხვედრითი დანაკარგები, შესაძლებელია საექსპერტო შეფასებით დავასკვნათ, რომ გამანაწილებელ ქსელში ტექნიკური დანაკარგები არ უნდა აღემატებოდეს 5 %-ს (აღნიშნულში ავარიებით გამოწვეული დანაკარგები არ უნდა იყოს გათვალისწინებული)

2. ცალკეულ შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, შესაძლებელია ინდივიდუალურად ბუნებრივი გაზის დანაკარგებში გათვალისწინებულ იქნეს ავარიების შედეგად დამატებით გამოწვეული გაზის დანაკარგები.

3. აუცილებელად შემუშავდეს გამანაწილებელ გაზსადენებში აბსოლუტური დანაკარგების მეთოდოლოგია.

### **ჭი ზკმმფეშჭფსშფ**

2002 წლის საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი გაზის სექტორში პრივატიზაცია არ განხორციელებულა.



რაც შეეხება სს”თბილგაზს”, 2002 წელს გაგრძელდა სს “თბილგაზის” პრივატიზაციის პროცესი. ჯერ კიდევ 2001 წელს, სატენდერო განაცხადი შემოიტანა ისრაელის კომპანია ”Tahal Group”-მა.

ქ.თბილისის მერიამ 2001 წლის 3 სექტემბრის №4-26/337 წერილით, სემეკს გამოუგზავნა “Consulting Group”-ის მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტი სს “თბილგაზის” აქციების შესყიდვის შესახებ. სემეკმა, ინტენსიური მუშაობის შემდეგ, თავისი მოსაზრებები და შენიშვნები ამ ხელშეკრულების შესახებ 2001 წლის 13 სექტემბრის №1/104-1594-1814 წერილით აცნობა ქ.თბილისის მერიას.

თავისი მოსაზრებები და შენიშვნები კომპანია ”Tahal Group”-ის განაცხადის თაობაზე, სემეკმა აცნობა ქ.თბილისის მერიას 2001 წლის 18 სექტემბრის №1/105-1844 წერილით.

კომპანია ”Tahal Group”-მა ითხოვა ვადის გაგრძელება სამი თვით, 2002 წლის თებერვლამდე.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 2002 წლის 20 ივნისის №50/17 წერილით სემეკს გამოუგზავნა სს “თბილგაზის” აქციათა პაკეტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პროექტი. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სემეკმა გამოთქვა შენიშვნები და წინადადებები (2002 წლის 24 ივნისის წერილი №3/01-15/24-1460).

როგორც ექსპერტებმა მიიჩნიეს და როგორც საინვესტიციო წინადადებების განხილვის პროცესში გაირკვა სს.”თბილგაზის” პრივატიზება უცხოელ კომპანიაზე არსებული საინვესტიციო გარემოს გათვალისწინებით ჯერჯერობით შეუძლებელია. სს”თბილგაზში” არსებული სუსტი მენეჯმენტის გათვალისწინებით, კომპანიის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი გადავიდა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში (საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 6 ნოემბრის დადგენილება №1714-ის). შემდეგ ისევ დაუბრუნდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს.

## **შე ოჩმე ა გტლსშეშე პეტრწ კსშედუოე**

სემეკის მიერ სს „თბილგაზზე“ გაცემული ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 16 დეკემბერს სს „თბილგაზმა“ წარმოადგინა განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით, აღნიშნული ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე სემეკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ სს „თბილგაზის“ საქმიანობის ანალიზის შედეგად, შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

სს „თბილგაზზე“ ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების გაცემის დღიდან (1999 წლის 24 სექტემბერი), ქ. თბილისის გამანაწილებელ ქსელში ტექნიკური და კომერციული დანაკარგების რაოდენობა (რაც ისედაც დიდი იყო) არა თუ შემცირებულა, უფრო გაიზარდა და 2002 წლის მდგომარეობით 68,89%-ს მიაღწია. კატასტროფულად დაბალია მოსახლეობიდან მოხმარებული

ბუნებრივი გაზის საფასურის ამოღების დონე. შესაბამისად, საწარმოს პრობლემები აქვს მიღებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდისას, რის გამოც ცენტრალური და ქ. თბილისის ბიუჯეტიდან მუდმივ დახმარებას საჭიროებს. საწარმო ყოველ წელს დიდი ზარალით ამთავრებს. ბუნებრივი გაზის ქსელში ავარიების რიცხვი 1997 წელთან შედარებით შვიდჯერ გაიზარდა. გახშირდა უბედური შემთხვევები მოსახლეობის ბინებში, რომლებსაც ადამიანთა სიკვდილი მოჰყვა. გაზმომარაგების რეჟიმი არასაიმედო და გაუმართავია, რაც თბილისის გარკვეულ უბნებში გაზის წნევის ვარდნას იწვევს. ამას კი, შედეგად მომხმარებლების სამართლიანი უკმაყოფილება და საჩივრები ახლავს თან. დღემდე მოუწესრიგებელია მიღებული და რეალიზებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის სისტემა. განხორციელებული სარემონტო სამუშაოები ხშირ შემთხვევაში არაეფექტიანია, რადგანაც ლითონის მილების მიწაში ჩადება კათოდური დაცვის გარეშე ხდება, რაც მათ სწრაფ კოროზიას იწვევს. სს „თბილგაზის“ განვითარების ტენდენცია უარყოფითია და წლიდან წლამდე უარესდება. ამასთან, საწარმოს მიერ არ სრულდება მასზე გაცემული ლიცენზიის პირობები. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ სს „თბილგაზის“ პრივატიზაციის რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და 31-ე მუხლის, აგრეთვე „ლიცენზირების წესები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ სემეკის 1999 წლის 23 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად, კომისიამ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სს „თბილგაზმა“ წარმოადგინა გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა, სადაც არ არის მითითებული დაფინანსების წყარო. ამავ დროს, სრულად ვერ წარმოადგინა ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ლიცენზიების პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის:

გამანაწილებელ ქსელში ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შემცირების ღონისძიებები, ავარიების რიცხვის შემცირებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტია, ბუნებრივი გაზის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულება, ბუნებრივი გაზის მიღებისა და რეალიზაციის აღრიცხვიანობის მოწესრიგების ღონისძიებები, რეგულირების საფასურის დებიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკი, ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ტარიფის დიფერენციაციის გაანგარიშება და სხვ.

2. ცნობად იქნეს მიღებული „საქსტანდარტისა“ და ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ სემეკში წარმოდგენილი ინფორმაციები სს „თბილგაზის“ მფლობელობაში არსებული ბუნებრივი გაზის ქსელის ტექნიკური მდგომარეობისა და აღრიცხვის სისტემის გაუმართაობის შესახებ.

3. დაკმაყოფილებულ იქნეს ქ. თბილისის საკრებულოს წარმომადგენლის და სს „თბილგაზის“ გენერალური დირექტორის თხოვნა სს „თბილგაზის“ მიწოდებისა და განაწილების ლიცენზიების ვადის 2003 წლის 1 თებერვლამდე გაგრძელების შესახებ;

4. დაევალოს სს „თბილგაზს“ 2003 წლის 27 იანვრამდე სემეკში წარმოადგინოს:

ა) გაზის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის მოკლე საშუალო და გრძელვადიანი პროგრამები;

ბ) ქ. თბილისის გაზის გამანაწილებელ ქსელში ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შემცირების ღონისძიებები და აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა;

გ) გამანაწილებელ ქსელში ავარიების რიცხვის შემცირების, მომხმარებლისთვის გაზის მიწოდების უწყვეტი რეჟიმის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ქსელის ექსპლუატაციისა და მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვის გარანტია;

დ) ბუნებრივი გაზის შესყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულება;

ე) ბუნებრივი გაზის მიღებისა და რეალიზაციის აღრიცხვიანობის მოწესრიგების, გაზის მიწოდებისა და მომსახურების საფასურის ამოღების რადიკალურად გაუმჯობესების ღონისძიებები;

ვ) 2003 წლის 27 იანვრამდე გადაიხადოს რეგულირების საფასურის დავალიანების ერთი მესამედი, ხოლო დანარჩენზე წარმოადგინოს სემეკის შესაბამის დეპარტამენტთან შეთანხმებული დაფარვის გრაფიკი;

ზ) ბუნებრივი გაზის განაწილებისა და მიწოდების ტარიფების ლიფერენციაციის გაანგარიშება.

5. დაევალოს სს „თბილგაზს“ გაითვალისწინოს „საქსტანდარტისა“ და ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები

6. ეთხოვოს ქ. თბილისის მერიასა და საკრებულოს, სათბობ-ენერგეტიკის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებს, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს:

ა) 2003 წლის 27 იანვრამდე წერილობით მიაწოდონ სემეკს მოსაზრებები სს „თბილგაზის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ბ) განიხილონ სს „თბილგაზის“ იმ ხელმძღვანელ მუშაკთა საკითხი, ვინც პასუხისმგებელი იყო სს „თბილგაზის“ გამართულ მუშაობაზე.

7. დაევალოთ სემეკის ბუნებრივი გაზისა და იურიდიულ დეპარტამენტებს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყონ საჭირო დოკუმენტაციის შეკრება 2003 წლის 31 იანვარს სემეკის სხდომაზე ხელმეორედ განსახილველად.

## **მე ეფკშაუიშო ფფგ პუტფ ფფ კუბგ დშკუფფ**

### **ფწ უღუღეკ წუტუეკაშფ**

2002 წელს კვლავ მიმდინარეობდა მუშაობა სატარიფო სისტემის შემდგომი მოწესრიგების მიმართულებით.

ამ წლის განმავლობაში კომპანია „ეი-ი-ეს თელასის“ ტარიფი რჩებოდა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად. 2002 წლის 2 აპრილს სს „ეი-ი-ეს თელასმა“ წარმოადგინა ახალი სატარიფო განაცხადი. იგი მოითხოვდა საკუთარი განაწილების ზღვარის გაზრდას 10,408 თეთრ/კვტსთ-მდე დღგ-ის ჩათვლით.

სემეკის თავმჯდომარის 2002 წლის 28 მაისის №8 ბრძანებით, სემეკის აპარატის თანამშრომელთა და მოწვეული სპეციალისტებისგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ამ ჯგუფს 2002 წლის 29 მაისიდან უნდა განეხორციელებინა სატარიფო განაცხადის ამოსავალი ინფორმაციის შესწავლა სს „ეი-ი-ეს თელასში“. მოწვეულ სპეციალისტებს წარმოადგენდნენ აუდიტური კომპანია „კონსაულის“ თანამშრომლები.

ადგილზე შესაბამისი დოკუმენტაციისა და მასალების შესწავლის შედეგად სამუშაო ჯგუფმა მოამზადა შესაბამისი დასკვნა, რომლის შედეგად სს „ეი-ი-ეს თელასის“ განაწილების ზღვარი უნდა გაზრდილიყო არა 10,408 თეთრით კვტსთ-მდე დღგ-ს ჩათვლით, არამედ – 8,648 თეთრით კვტსთ-ზე დღგ-ს ჩათვლით. სწორედ ამ განაწილების ზღვარის ოდენობით ჰპოვა ასახვა სემეკის 2002 წლის 15 ოქტომბრის №12 დადგენილებაში სს „ეი-ი-ეს თელასის“ ტარიფმა. 2001 წელს სს „ეი-ი-ეს თელასისთვის“ დადგენილი ანალოგიური განაკვეთი (7,548 თეთრი/კვტსთ დღგ-ის ჩათვლით) 2002 წელს გაიზარდა - 14.6 %-ით.

ასევე შესრულდა ანალიზი საპროგნოზო ელექტრობალანსის შესრულების და ელექტროენერჯის წარმოების ფაქტობრივ შეწონილ ტარიფზე, მისი გავლენის შესწავლის თვალსაზრისით. 2001-2002 წლებში საქართველოს ელექტრობალანსის შეუსრულებლობა, ამავე დროს აღნიშნული ბალანსით ჰიდრო და თბოსადგურების გამოუმუშავების წილების დარღვევა, თბოსადგურების გაჩერება, საჭიროების შემთხვევაში იმპორტის განუხორციელებლობა წარმოადგენს დარგში დამკვიდრებული თანხების ამოუღებლობის შედეგს.

სემეკმა 2002 წელს გასცა ელექტროენერჯის იმპორტის 5 ლიცენზია. საქართველოში 2002 წელს სულ განხორციელდა 713,2 მლნ კვტს ელექტროენერჯის იმპორტი და 244,5 მლნ კვტს ელექტროენერჯის ექსპორტი, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს ფაქტობრივი წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფის ფორმირებაში.

სესბ-ის მონაცემების საფუძველზე, 2002 წლის ბოლოს ტრანსფერტულ ანგარიშზე დაფიქსირდა უარყოფითი დებიტორ-კრედიტორული ნაშთი. ამ გარემოებამ, ასევე 2002-2003 წ.წ. ელექტრობალანსისა და მოქმედი სატარიფო განაკვეთების საშუალებით გაანგარიშებულმა ელექტროენერჯის წარმოების საშუალო შეწონილმა გადაწყვიტა სემეკის 2002 წლის დადგენილებით განსაზღვრული ელექტროენერჯის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფის 2.667 თ/კვტსთ-ის დონეზე დაფიქსირება, რაც 0.1 თეთრით მეტია წინა წელს მოქმედ ანალოგიურ განაკვეთთან შედარებით.

მიმდინარეობდა ხანგრძლივი მუშაობა ისეთი საკითხის მოწესრიგების მიმართულებით, როგორცაა უშუალოდ სადგურზე მიერთებული მომხმარებლების შესასყიდი ტარიფის განსაზღვრა-დიფერენცირება. ამასთან დაკავშირებით, სემეკმა 2002 წლის 31 დეკემბერს მიიღო №19 დადგენილება, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას წარმოების ლიცენზიატსა და განაწილების ლიცენზიატს/პირდაპირ

მომხმარებლებს შორის. ეს ურთიერთობა ΒΑΔΙΠΕΟΪΑΑ ΙΑΘΕΙ, ΔΙΪΑΘΔΥ ΒΑΔΙΠΪΑΕΟ ΕΪΥΑΙ/ΕΕΑΘΕΟ ΙΕΑΘ  
ΑΑΙΠΘΟΑΑΑΑΘΕΕ ΑΕΑΘΘΟΔΙΑΘΔΕΑ ΙΕΑΒΙΑΑΑΑ:

Α) ΑΑΙΑΒΕΕΑΑΕΟ ΕΪΥΑΙ/ΕΕΑΘΘ 6-10 ΕΑ. ΠΑΑΑΑΑΕ, ΑΑΑΑΥΑΙΕΟ ΘΟΑΕΕΟ ΑΑΘΑΕΕΑΑ (ΙΑΘΟΕ ΑΑΑΑΑΕΙΑΑΕΟ  
ΑΑΔΑΘΑ) ΑΙ/ΑΑ ΔΑΑΑ ΑΑΙΑΒΕΕΑΑΕΟ ΕΪΥΑΙ/ΕΕΑΘΘΕΟ ΘΟΑΕΕΟ ΑΑΘΑΕΕΑΑ.

Α) ΘΕΔΑΘΘΕΟ ΠΑΙΔΑΘΑΕΟ 6-10 ΕΑ. ΠΑΑΑΑΑΕ, ΑΑΑΑΥΑΙΕΟ ΘΟΑΕΕΟ ΑΑΘΑΕΕΑΑ (ΙΑΕΘΕ  
ΑΑΑΑΑΕΙΑΑΕΟ ΑΑΔΑΘΑ) ΑΙ/ΑΑ ΑΑΙΑΒΕΕΑΑΕΟ ΘΟΑΕΕΟ ΑΑΘΑΕΕΑΑ. ასეთი მიდგომა ახალ საშუალებას  
აძლევს მწარმოებელს პირდაპირ (სესხის გაუვლელად) მიიღონ მათ მიერ  
წარმოებული ელექტროენერჯისათვის შესაბამისი თანხები. ამავე დროს,  
დადგენილება წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს შესასყიდი ტარიფების  
დიფერენციაში მყიდველის მწარმოებელთან (გამყიდველთან) ტექნიკური სქემის  
არსებობის მიხედვით.

საქართველოს პარლამენტის ბიუროსა და დარგობრივი ეკონომიკის  
კომიტეტის 1999 წლის 10 მაისის გაფართოებული სხდომის №196 საოქმო  
გადაწყვეტილების, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2002 წლის 12  
სექტემბრის №88/1 თათბირის ოქმის, საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის  
მინისტრთან 2002 წლის 19 სექტემბერს ჩატარებული თათბირის ოქმის,  
„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის  
პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“  
ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე, 43-ე და 44-ე  
მუხლების შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებიდან და სახელმწიფო პოლიტიკიდან  
გამომდინარე, სემეკმა 2002 წლის 16 ოქტომბერს მიიღო №11 დადგენილება „სს  
„ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის“ მიერ  
მოხმარებული ელექტროენერჯის ტარიფის დადგენის შესახებ“. აღნიშნული  
დადგენილება საშუალებას მისცემს სს „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის  
ფეროშენადნობთა ქარხნას“ საკუთარ წარმოებულ პროდუქციაზე კონტრაქტორთან  
გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად აწარმოოს პროდუქცია, რაც  
დღევანდელ პირობებში დიდ შემოსავალს მოუტანს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ  
უმნიშვნელოვანეს წარმოებას, ასევე ქვეყნის ბიუჯეტსაც.

2002 წლის ბოლოს მომზადდა დადგენილების პროექტი, რომელიც ეხება  
სესხ-ის პირდაპირი მომხმარებლებისათვის, ქ. თბილისის განსაკუთრებული  
დანიშნულების ობიექტებისათვის და მელიორაციული სატუმბი სადგურებისათვის  
ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფის დადგენას. აღნიშნული დოკუმენტი  
ექსპერტიზისთვის გაევზავნა იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში უკანასკნელ პერიოდში  
გატარებულმა რეფორმებმა (ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის შექმნა,  
რეგიონული გამანაწილებელი კომპანიების კონსოლიდაცია, ელექტროენერჯის  
გადაცემა-დისპეტჩერიზაციის შერწყმა და ასეთი სახით ინვესტორისათვის მართვაში  
გადაცემა, ენერჯეტიკული ობიექტების პრივატიზება და სხვა), დღის წესრიგში  
დააყენა სემეკის 1998 წლის 1 ივლისის №3 დადგენილებით დამტკიცებული  
ელექტროენერჯის ტარიფების მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანისა და  
სრულყოფის აუცილებლობა.

სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით, სემეკში მიმდინარე წლის ზაფხულიდან დაწყებულია ინტენსიური მუშაობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ა.წ. 24 სექტემბრიდან სემეკში იმართებოდა ღია განხილვები. განხილვებში, სემეკის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მონაწილეობას იღებდა 24 ორგანიზაციის შესაბამისი სპეციალისტი; სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის:

1. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
3. საქართველოს კონტროლის პალატა;
4. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი;
5. საქართველოს პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტი;
6. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია;
7. სათბობენერგოინფორმატიკის ცენტრი;
8. ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკული სამსახური;
9. საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო;
10. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო;
11. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
12. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო;
13. საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური;
14. საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი;
15. სს „ეი-ი-ეს თელასი“ ;
16. სს „ელექტროგადაცემა“;
17. სსიპ „ენერგოგენერაცია“;
18. შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“;
19. საქართველოს გაერთიანებული საღისტრიბუციო კომპანია;
20. საქართველოს ანტიკორუფციული ბიურო;
21. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი;
22. PA Consulting;
23. აუდიტური ფირმა „კონსაუდი“;
24. ენერგოეფექტურობის ფონდი.

მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებული ღია განხილვები სემეკში ყოველკვირეულად იმართებოდა. 2002 წელს გაიმართა 8 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა ელექტროენერჯის ტექნიკური და კომერციული დანაკარგები, მოქმედი საგადასახადო რეჟიმი, ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატთა მოგების ნორმის განსაზღვრის შესაძლო გზები და სექტორში დაგროვილი ვალების რესტრუქტურის საკითხი.

განხილვების მონაწილეთა და PA Consulting-ის საქართველოს ოფისის დირექტორის რეკომენდაციით, მიზანშეწონილად ჩაითვალა განხილვების დაწყება არსებული სატარიფო მეთოდოლოგიის შესწავლით. ასევე აღინიშნა, რომ სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფისას საჭიროა შენარჩუნდეს ის ფუნდამენტური ფუნქცია, რომელიც გააჩნია მარეგულირებელ ორგანოს, რაც მიმწოდებელსა და მომხმარებელს

შორის ბალანსის დამყარებას გულისხმობს. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მიღებულ წინადადებებზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა შემდეგი საკვანძო საკითხები:

1. საწარმოებისათვის ამონაგების ნორმის დადგენა მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის ფორმის მიხედვით;
2. ტარიფში შემაჯავლი საკალკულაციო კომპონენტები;
3. საქართველოში მოქმედი დაბეგვრის რეჟიმი;
4. ელექტროენერჯის ტექნიკური და კომერციული დანაკარგები;
5. ელექტროენერგეტიკულ სექტორში დაგროვილი უიმედო ვალები.

უნდა აღინიშნოს, რომ დამსწრეთა შორის დიდი დაინტერესება გამოიწვია ელექტროენერჯის დანაკარგებთან, საქართველოში არსებულ დაბეგვრის რეჟიმთან და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული განაკვეთების ტარიფში ასახვასთან დაკავშირებულმა საკითხებმა. აგრეთვე, გაიმართა საინტერესო დისკუსიები ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოთა ამონაგების ნორმის განსაზღვრის საკითხთან და სექტორში დაგროვილი უიმედო ვალების ტარიფში ასახვასთან დაკავშირებით. არსებულ სატარიფო მეთოდოლოგიაში ელექტროენერგეტიკული სექტორის შიდა და სხვა სახის ვალების ტარიფში გათვალისწინების შესაძლებლობა ასახულია მეთოდოლოგიის მე-7 მუხლში. ვინაიდან ელექტროენერგეტიკულ სექტორში ტარიფის დადგენის საფუძველი არის სრული ღირებულების პრინციპი, აქედან გამომდინარე, ინვესტორის მიერ ჩადებული თანხები, ასევე კერძო თუ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოების მიერ აღებული მიზნობრივი კრედიტები, ამ საწარმოების მიერ სემეკში სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შემოწმების საფუძველზე აისახება მათ ტარიფებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერჯის ტარიფში არ აისახება საგარეო და შიდა ვალები, რომლებიც ქვეყანას ასეული მილიონობით ლარი დაუგროვდა. ამგვარი ვალების მომსახურებისათვის, მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია იყო 0.6-0.7 თეთრით/კვტსთ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა, მაგრამ აღნიშნულს არ დაეთანხმა სემეკი, ვინაიდან ეს დიდ ტვირთად დააწვებოდა მომხმარებელს. ეს პრობლემა მიმდინარე პერიოდშიც დღის წესრიგში დგას და საჭიროა ოპტიმალური გამოსავალის მოძებნა.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარშემო გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა მიიღეს PA Consulting-ის, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, სს „ელექტროგადაცემის“, აუდიტური კომპანია „კონსაუდის“, სსიპ „ენერგოგენერაციის“, ქ. თბილისის მერიის, სს „ეი-ი-ეს თელასის“, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის, შპს „ელექტროდისპეტჩერიზაცია-2000“-ისა და სათბობენერგოინფორმატიკის წარმომადგენლებმა.

სემეკში გამართულ შეხვედრებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუშაობა გაგრძელდება ორი მიმართულებით: I. კონკრეტულ საკითხებზე გაერთიანებული ღია განხილვები და II. მუშა ჯგუფების შექმნა კონკრეტული პრობლემური საკითხების დასამუშავებლად. აღნიშნულ სარედაქციო კომისიას ეთხოვა მეთოდოლოგიის ახალი რედაქციით შემუშავება. გამოიცა სემეკის თავმჯდომარის

შესაბამისი ბრძანება. სარედაქციო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც სემეკის აპარატის თანამშრომლები, ასევე სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, კერძოდ: თემურ კოპალეიშვილი (ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო), ოთარ გამყრელიძე (საქართველოს ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია), კოტე დათიაშვილი (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია), ნოდარ კოდუა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი), შალვა ზარანდია (საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო), მურმან მარგველაშვილი (სს „ეი-ი-ეს თელასი“).

უკანასკნელ სამ შეხვედრაზე, სემეკის თხოვნით, მოწვეულ იქნა საკონსულტაციო კომპანია PA Consulting-ის ექსპერტი ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სექტორების ტარიფების საკითხებში ბატონი ელიოტ ტანოსი, რომელმაც ა.წ. 29-31 ოქტომბერს ჩაატარა სემინარი ელექტროენერგეტიკული სექტორისა და ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფების განსაზღვრის საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე (აშშ, უნგრეთი, არგენტინა, ჩილე, მოლდოვა, სომხეთი, ყაზახეთი და სხვ.) სემინარზე განხილულ იქნა ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფების განსაზღვრის მიდგომები. აღნიშნული მოიცავდა ტარიფში მოგების ნორმის, ტექნიკური და კომერციული დანაკარგების, უიმედო ვალების, საექსპლუატაციო დანახარჯებისა და სხვა ფაქტორების ასახვის შესაძლო გზებს. განხილულ იქნა პრაქტიკული მაგალითები, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში სემეკის მიერ დღემდე გამართული ღია განხილვები მეტად პროდუქტიული აღმოჩნდა. სხვადასხვა დაინტერესებული უწყების მიერ გამოითქვა მეტად საინტერესო და ყურადსაღები მოსაზრებები მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით.

სარედაქციო კომისიის მიერ მომზადებული მეთოდოლოგიის ახალი რედაქცია საბოლოოდ განიხილება სემეკში გამართულ ღია სხდომებზე, დამსწრე მხარეთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით. ამის შემდგომ აღნიშნული მეთოდოლოგია გამოქვეყნდება პრესაში საჯარო განხილვისთვის.

## **წი ივტუ კმშუ პფჭშ**

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების , აგრეთვე სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებული “ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესის და მეთოდოლოგიის” შესაბამისად, 2002 წელს სემეკმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

სემეკის 2002 წლის 4 თებერვლის №1 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება სს“აზოტისთვის” ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფების შესახებ” სემეკის 2001 წლის 18 ივლისის №7 დადგენილებაში, რომლის თანახმად სს “აზოტის” გაზმომარაგება და შესაბამისად



ტრანსპორტირების საფასურის გადახდა კომპანია “იტერას” ნაცვლად დაეკისრა სს “საქგაზს”.

2002 წლის იანვრიდან საქართველოში იმპორტირებული (საზღვრამდე მოტანილი) ბუნებრივი გაზის ფასის მორიგ გაზრდასთან (4 აშშ დოლარით/1000 მ<sup>3</sup>) დაკავშირებით, ბუნებრივი გაზის მიწოდების ლიცენზიატთა განაცხადების საფუძველზე, დღის წესრიგში დადგა ტარიფების კორექტირების საკითხი.

საქართველოში ბუნებრივი გაზის იმპორტს და მიწოდებას, ძირითადად, ახორციელებს სს “საქგაზი”. სს “საქგაზის” მიერ სემეკში წარმოდგენილი განაცხადით, ბუნებრივი გაზის იმპორტის ფასის გაზრდასთან და აგრეთვე აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით, საპროექტო ტარიფი ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდებაზე შეადგენდა 188,31 ლარს/1000მ<sup>3</sup> ანუ მოქმედთან (168 ლარი) შედარებით გათვალისწინებული იყო 20,31 ლარით გაზრდა. სემეკის მიერ, სს “საქგაზთან” მიღწეული შეთანხმებით, მისი დანახარჯებისა და რენტაბელობის დონის შემცირებით, ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდების ტარიფის ზრდა განისაზღვრა მხოლოდ 15,0 ლარით/1000 მ<sup>3</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სემეკის 2002 წლის 6 თებერვლის №2 დადგენილებით, ცვლილებები იქნა შეტანილი “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” სემეკის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში. კერძოდ, დამტკიცდა ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდებაზე შემდეგი ტარიფები (ლარი/1000 მ<sup>3</sup>):

	დღგ-ის ჩათვლით	დღგ-ის გარეშე
ა) სს “საქგაზს”		
– თბოელექტროსადგურებისთვის	–	132.0
– დანარჩენი მომხმარებლებისთვის	183.0	152.5
ბ) სს “გაზმშენს”	183.0	152.5
გ) შპს “გაზის ტრანსპორტირების კომპანიას	175.0	145.83

ტარიფები ავტომატურად გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდებაზე და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებაზე არ შეცვლილა, ასევე, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატების მიერ, დადგენილი წესით, განაცხადის წარმოდგენამდე საცალო მოხმარების მოქმედი ტარიფები დარჩა უცვლელი. აღნიშნული დადგენილებით ბუნებრივი გაზის განაწილების ახალ ლიცენზიატს შპს “ბრეთიგაზს” (ქარელის რაიონი) დაუმტკიცდა საცალო მოხმარების ტარიფი 29.5 თეთრი/მ<sup>3</sup>.

სემეკის 2002 წლის 30 აპრილის №7 დადგენილებით, “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” სემეკის 2001 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებით დამტკიცებული საცალო მოხმარების ტარიფების ნუსხას დაემატა ახალი ლიცენზიატები სს “ვანიგაზის” და შპს “გაზენერგო”, რომლებსაც დაუმტკიცდა ბუნებრივი გაზის საცალო მოხმარების ტარიფები შესაბამისად 32.0 და 29.0 თეთრი/მ<sup>3</sup>.

სემეკის 2002 წლის 7 მაისის №8 დადგენილებით დამატება და ცვლილება იქნა შეტანილი სემეკის 1999 წლის 8 სექტემბრის №6 დადგენილებით დამტკიცებულ “ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესი და მეთოდოლოგიაში”.

კერძოდ, მეთოდოლოგიას დაემატა “მუხლი 11<sup>1</sup>. ბუნებრივი გაზის დანაკარგები”, ხოლო მე-19 მუხლში შეიცვალა ტარიფის კორექტირების წესი.

სემეკის მიერ მიღებულ იქნა “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” 2002 წლის 5 ივლისის №9 დადგენილება, რომლის თანახმად, სემეკის 2002 წლის 6 თებერვლის №2 დადგენილებით საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის და შესაბამისად საბითუმო მიწოდებაზე ტარიფების გაზრდასთან დაკავშირებით, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატა განაცხადების საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში შეიცვალა ბუნებრივი გაზის საცალო მოხმარების ტარიფები. ამასთან, სს “თბილგაზის” ხელმძღვანელობის მოთხოვნით, თბილისის მომხმარებლებისთვის ტარიფი დარჩა უცვლელი 27.0 თეთრი/მ<sup>3</sup>. ამ დადგენილებით ძალაში დარჩა მანამდე მოქმედი ბუნებრივი გაზის საბითუმო მიწოდების, ტრანსპორტირების და ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდების ტარიფები.

ამასთან, ამავე დადგენილებით ახალ ლიცენზიატებს დაუმტკიცდათ ტარიფები. კერძოდ, ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდებაზე შპს “იბერგაზს” – 40.0 თეთრი, სს “აზოტს” – 35.0 თეთრი თითოეული კუბ. მეტრისთვის დღგ-ის ჩათვლით, ხოლო ბუნებრივი გაზის საცალო მოხმარებაზე გამანაწილებელ კომპანიებს სს “ბაღდათიგაზს” – 31.0 თეთრი/მ<sup>3</sup>, შპს “ჩირაღდანი-2002”-ს – 30.0 თეთრი/მ<sup>3</sup>.

სემეკის 2002 წლის 22 ნოემბრის №14 დადგენილებით, “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” სემეკის 2002 წლის 5 ივლისის №9 დადგენილებაში შეტანილ იქნა დამატება და ცვლილება. კერძოდ, ახალ ლიცენზიატს, შპს “გაზინვესტორ-გორს” დაუმტკიცდა ავტომანქანების გასამართი შეკუმშული გაზის საცალო მიწოდების ტარიფი 40.0 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით, საცალო მოხმარების ტარიფების ნუსხიდან ამოღებულ იქნა სს “საქორგაზი”.

2002 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსით თბოელექტროსადგურებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე დღგ-ის და ეკოლოგიის გადასახადზე დადგენილი შეღავათების გაუქმებასთან დაკავშირებით, სემეკის 2002 წლის 13 დეკემბრის №16 დადგენილებით, “ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ” სემეკის 2002 წლის 5 ივლისის №9 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად სს “საქგაზს” თბოელექტროსადგურებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი აღნიშნული გადასახადების ჩათვლით დაუმტკიცდა 166,2 ლარი/1000 მ<sup>3</sup>.

2002 წელს სემეკის მიერ მიღებულ იქნა ინდივიდუალური გადაწყვეტილებები ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის თაობაზე. კერძოდ, სემეკის 2002 წლის 21 თებერვლის №13 გადაწყვეტილებით რუსთავის სს “აზოტს”, როგორც ბ/გაზის განაწილების ლიცენზიატს, დაუდგინდა მის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისთვის შპს “ვირტუოზის”, შპს “ემოს” და სს “ეპასისთვის” ბუნებრივი გაზის განაწილების (გატარების) ტარიფი 2.0 ლარი/1000მ<sup>3</sup>.

სემეკის 2002 წლის 6 სექტემბრის №72 გადაწყვეტილებით ლიცენზიატს ი.ს. “აირს” დაუდგინდა სამრეწველო საწარმო შპს “სამეგობროსთვის” ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი 20.0 ლარი/1000 მ<sup>3</sup>.

სემეკის 2002 წლის 13 სექტემბრის №74 გადაწყვეტილებით, ლიცენზიატს შპს “დიდ დილომს”, ექსპერიმენტის სახით, სს “თბილგაზიდან” ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი დაუდგინდა 207.0 ლარი/1000მ<sup>3</sup>. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, შპს “დიდი დილომსა” მომხმარებელს ბუნებრივი გაზი უნდა მიაწოდოს სს “თბილგაზისთვის” დამტკიცებული საცალო მოხმარების ტარიფით.

სემეკის 2002 წლის 15 ნოემბრის №89 გადაწყვეტილებით, სს “რუსთავგაზს” დაუდგინდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატისა და მის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის განაწილების (გატარების) ახალი ტარიფი 1.0 ლარი/1000მ<sup>3</sup>. ამასთან, ძალადაკარგულად ჩაითვალა მანამდე მოქმედი სემეკის 2001 წლის 6 აპრილის №28 გადაწყვეტილები დამტკიცებული ტარიფი.

## **ნე შტაწკქფსშგდშ გქკგტბუნწაფ ფფ თფუკმფსწკშწწ წკბფფშფსშუიძფტ გკშუეკშწფ**

საანგარიშო წელს სემეკში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედი ლიცენზიატების, აგრეთვე საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მიერ სემეკში დადგენილი წესით, წარმოდგენილი ფინანსური და ტექნიკური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, კომისიისთვის შესაბამისი დასკვნების წარდგენა;
- ბ) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედი ლიცენზიატების მიერ სემეკში წარმოდგენილი საინვესტიციო პროგრამების განხილვა;
- გ) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ტარიფების დადგენის, ლიცენზიების გაცემის, მოდიფიცირების, შეჩერებისა და გაუქმების წესების, აგრეთვე ექსპორტ-იმპორტის კვოტებისა და სხვა სახის ნორმების განსაზღვრის მეთოდოლოგიური საკითხების შემუშავება;
- დ) აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, სემეკის კომპუტენციის ფარგლებში, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში, ინვესტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების განხილვაში მონაწილეობა;
- ე) სემეკის ინფორმაციული ბაზის შექმნა და მის მუდმივი განახლება. სემეკის აპარატის შიდა კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მისი განვითარება, აგრეთვე სემეკის მუშაობისთვის საჭირო სამართლებრივი აქტებისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის სემეკის შიდა კომპიუტერულ ქსელში განთავსება;
- ვ) სემეკის ელექტრონული ვებგვერდის შედგენა, დამუშავება და მისი მუდმივი განახლება, კომისიის დადგენილებების, გადაწყვეტილებების, შესაბამისი საოქმო ჩანაწერების, წლიური ანგარიშების, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის

სექტორების სხვადასხვა სახის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და სემეკში არსებული სხვა სახის საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფა, აგრეთვე სექტორში მიმდინარე პროცესების მოკლე ანოტაციის სემეკის ელექტრონულ ვებგვერდზე განთავსება;

- ზ) სემეკის კავშირის უზრუნველყოფა საზღვარგარეთის ანალოგიურ კომისიებთან, ენერჯეტიკის სექტორის საწარმოებთან, ენერჯეტიკის რეგულირების რეგიონულ ასოციაციასთან (ERRA), კომუნალური რეგულირების კომისიების ნაციონალურ ასოციაციასთან (NARUC) და სხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ენერჯეტიკის სექტორის რეგულირების საკითხებზე არსებულ სიახლეებთან და დარგში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;
- თ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად სხვა უფლებამოსილების განხორციელება;

ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის დეპარტამენტმა 2002 წელს, თავისი საქმიანობის საკმაოდ მოკლე პერიოდში ჩაატარა მნიშვნელოვანი და მოცულობითი სამუშაო. ამ პერიოდში დეპარტამენტში სხვადასხვა უწყებიდან შემოვიდა 45-მდე წერილი, რომელსაც შესაბამისად მიეცა რეაგირება.

გაანალიზდა და მომზადდა დასკვნები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა სესბ-ის ყოველთვიური ანგარიშები, სხვადასხვა სტრუქტურების მიერ წარმოდგენილი ელექტროსადგურების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ბიზნეს-გეგმები, სხვა მიმდინარე საკითხები.

მომზადდა სემეკის ელექტრონული ვებგვერდი, რომლის დამუშავება და განახლება მიმდინარეობს პერიოდულად. შესრულების სტადიაშია ინფორმაციული ბაზის შექმნა.

## **თემატიკური კომპლექსური შედეგები**

სემეკი საანგარიშო წელს აგრძელებდა საერთაშორისო კონტაქტებს. კერძოდ, სემეკი არის ენერჯეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA) წევრი. ERRA-ს ჩამოყალიბებული აქვს ორი კომიტეტი ტარიფებისა და ფასების, და ლიცენზირებისა და კონკურენციის. აღნიშნული კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სემეკის წევრები დ. ჩომახიძე და პ. ცინცაძე. აშშ-ს კომუნალური საწარმოების რეგულირების კომისიის წევრთა ნაციონალური ასოციაციის (NARUC) და განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2002 წლის განმავლობაში, გაიმართა აღნიშნული კომიტეტების 3 შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ERRA-ს წევრი ქვეყნების დელეგაციები - ალბანეთი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა (სერბია), საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ტაჯიკეთი და უკრაინა. შეხვედრებზე განხილულ იქნა საკითხები: (1) პარალელში ჩართული ქვეყნების ენერგოსისტემების სიმძლავრეების ურთიერთგაცვლის მეთოდები; (2) სექტორში წამოჭრილი სადავო საკითხების დარეგულირების

მექანიზმები; (3) ლიზინგი და საწარმოების მართვის უფლებით გადაცემა; (4) ელექტროენერჯის ბაზრის მოდელები ERRA-ს წევრ ქვეყნებში; (5) საკონტროლო ნიშნულების დადგენის პრაქტიკა ERRA-ს წევრ ქვეყნებში; (6) სასისტემო მომსახურება და ტარიფები ელექტროენერჯეტიკულ სექტორში; (7) ორგანაკვეთიანი ტარიფები ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლებისათვის; (8) ფასწარმოქმნის პრინციპები მცირე დამოუკიდებელი გენერაციის ობიექტებისათვის.

ისიც უნდა ითქვას, რომ 2002 წლის აპრილში ERRA-ს მიერ უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში გაიმართა ენერჯეტიკის რეგულირებისა და ინვესტიციების პირველი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი მომხსენებლების მაღალმა კვალიფიკაციამ და მათ მიერ მომზადებულმა მოხსენებებმა უზრუნველყვეს ჩატარებული ღონისძიების მიმართ დიდი დაინტერესება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ენერჯეტიკის სექტორში მოღვაწე საწარმოებისა და პოტენციური ინვესტორების მხრიდან. ERRA-ს წევრი ქვეყნების მიხედვით, განხილულ იქნა ამ ქვეყნებში არსებული საინვესტიციო გარემო, ენერჯეტიკის სექტორში ჩატარებული და მიმდინარე რეფორმები, ელექტროენერჯის ბაზრის მოდელები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნული კონფერენციის შედეგებმა ნათლად აჩვენა მომავალში ამგვარი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

2002 წლის ნოემბერში ენერჯეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაციის (ERRA), აშშ-ის კომუნალური საწარმოების რეგულირების კომისიის წევრთა ნაციონალური ასოციაციისა (NARUC) და განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) ერთობლივი დაფინანსებით აშშ-ში გაიმართა ენერჯეტიკის რეგულირების ერთკვირიანი სასწავლო პროგრამა. ეს პროგრამა განკუთვნილი იყო 5 ქვეყნის წარმომადგენლისთვის, მათ შორის: უკრაინა, ყირგიზეთი, საქართველო, მოლდოვა და სომხეთი. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სემეკის აპარატის მთავარმა სპეციალისტმა ა. ხეთაგურმა. ერთ კვირიანი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა აშშ-ს პენსილვანიისა და ნიუ-ჯერსის მარეგულირებელი ორგანოების, ასევე, პენსილვანიის, ნიუ-ჯერსისა და დელავარის შტატების დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის (ISO) მუშაობისა და ელექტროენერჯის კონკურენტულ ბაზარზე ფასწარმოქმნის პრინციპების გაცნობას. შედგა სამუშაო შეხვედრები ჩრდილო ამერიკის ენერჯეტიკის უსაფრთხოების ასოციაციის წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ეს ასოციაცია ზედამხედველობას უწევს არა მარტო აშშ-ის ენერჯეტიკულ სისტემას, არამედ ჩრდილო მექსიკისა და აღმოსავლეთ კანადის შტატებსაც. პროგრამის მსვლელობაში მონაწილეები ასევე იმყოფებოდნენ აშშ-ს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ფედერალურ კომისიაში. მონაწილეები კონკრეტულ მაგალითებზე გაეცნენ აშშ-ს მარეგულირებელ კომისიებში მომხმარებელთა საჩივრების მიღებისა და მათზე რეაგირების სისტემას, მარეგულირებელი კომისიების ურთიერთობისა და ზედამხედველობის საკითხებს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორთან (ISO), კომისიების მიერ საჯარო მოსმენების გამართვის პრაქტიკასა და ლიცენზიატების მხრიდან შესაბამისი განაცხადების წარდგენის ფორმებს.

საანგარიშო წლის ბოლოს, 2002 წლის 1-8 დეკემბერს, ERRA-ს ფინანსური მხარდაჭერით უნგრეთში ქ. ბუდაპეშტში გაიმართა „უნგრულ-ამერიკული თანამშრომლობის ინიციატივის“ (HAPI) ეგიდით მოწყობილი „საქართველოს

ენერგეტიკის მმართველებისათვის პერიოდული საქმიანი სწავლების“ პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სემეკის იურიდიული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსმა ზ. გაბელიამ და ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა დ. ნამჩევამძემ. მათ გარდა პროგრამაში მონაწილეობდნენ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ წარმომადგენლები. პროგრამის ორგანიზატორი გახლდათ “TESCO International Cooperation and Consulting Services Co” Ltd.-საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაცია.

სწავლების პროგრამით გათვალისწინებული იყო უნგრეთის ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და ნავთობის სექტორების განვითარების ათწლიანი გამოცდილების გაზიარება. განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი ელექტროენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურისა და პრივატიზაციას. ამასთან, სწავლების მონაწილეები გაეცნენ აღნიშნული სექტორების კონკრეტულ საწარმოთა საქმიანობას. მათ შორის, ქ. ბუდაპეშტის ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიების საქმიანობას.

ცალკე შეხვედრები მოეწყო ენერგეტიკის სექტორის ანალოგიური სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა დარგის რეგულირებისა და მართვის ძირითადი ასპექტები.

ზემოაღნიშნულ პროგრამებში სემეკის სპეციალისტების დასწრებამ აამაღლა მათი კვალიფიკაცია. საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის სემინარებსა და ლექციების კურსებზე დასწრება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სემეკის მუშაობის დახვეწას და მიზანშეწონილია მომავალში მათი გაგრძელება.

სემეკს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მუდმივი კავშირი აქვს სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიურ კომისიებთან. ამ კავშირების საშუალებით ხორციელდება ინფორმაციის სისტემატური ურთიერთგაცვლა, სექტორში არსებული მიღწევებისა და პრობლემატური საკითხების დარეგულირების მექანიზმების მოსაძიებლად.

## **74 ქველდღეუბი გადუიუიშო ვფსმფ**

### **• ვუზგკ ეფქუბეშო სუქტშო ცმტფმკწოფ ვფ ქველდუ შოეწკშფ**

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში 2001 წლის 1 ივნისიდან ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომლის შექმნის ინიციატივა თავად სემეკს ეკუთვნის და მისი იდეა მნიშვნელოვნად სცდება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციებს და გაცილებით გლობალურ მასშტაბებს იღებს, რაც გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართვასაც მოითხოვს. სემეკმა არაერთი კონსულტაცია გაიარა

სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პარლამენტის გარკვეულ წრეებთან, ასევე თავის პარტნიორ, აშშ-ის მიჩიგანის შტატის მარეგულირებელ კომისიასთან და მივიდა დასკვნამდე, რომ ფართო საზოგადოებასთან კავშირის დასამყარებლად და მომხმარებელთა უფლებების ეფექტურად დასაცავად საჭირო იყო შესაბამისი დეპარტამენტის ჩამოყალიბება, რადგან ენერგეტიკის რეგულირება მოქალაქეთა უფლებების დაცვასთანაც არის დაკავშირებული.

სემეკს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აქვს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროშიც, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვისაც უნდა იყოს ცნობილი; სწორედ სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის მეშვეობით სემეკის ყველა ქმედება – გადაწყვეტილების თუ დადგენილების მიღება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

საზოგადოებას, ინდივიდუალურ პიროვნებებს კომისიისგან სურთ მიიღონ ზუსტი პასუხები დარგში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, უფრო ვრცლად, ვიდრე ეს ხდება პრესაში ან ტელევიზიით. მათ ამაშიც სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი ეხმარება.

მოქალაქეებს, სხვადასხვა დროს, უჩნდებათ ენერგეტიკასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო პრობლემები, რომელთა არსში გარკვევა და მოგვარება თავად უძნელდებათ. აღნიშნული პრობლემების უმეტესი ნაწილი გამანაწილებელ კომპანიებთან ურთიერთობაში იჩენს თავს. მომხმარებელს ასეთი სადავო საკითხების გადაჭრაში სამოქალაქო უფლებათა დაცვის დეპარტამენტი უწევს დახმარებას.

რაც მთავარია, სემეკის სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი როგორც თავად მარეგულირებელი კომისია, ისეთივე არაპოლიტიკურია და მისი საქმიანობა ისევე გამჭვირვალეა,

**▪ თუქლომ თფქწლფდფლწ გადუოიშო ფფსშო გუზგკეფქუტეშ უღმიშ მფტფქს კწქდშოპფტ ფკშო ფფლწქსდუღეუიგდშ**

იმის გამო, რომ 2002 წელს დეპარტამენტში მიმდინარე სამუშაოს მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, იმატა მომხმარებელთა მხრიდან სატელეფონო „ცხელი ხაზით“ და წერილობით შემოსულმა განცხადებებმა, ასევე, გაფართოვდა მისი კონტაქტები საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიასთან, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ კომპანიებთან, აუცილებელი გახდა დამატებით ორი ახალი თანამშრომლის (მამუკა ჭითანავა, ვასილ ექსეულიძე) მიღება.

მუშაობის დაწყებამდე მათ რამდენიმეთვიანი სტაჟირება გაიარეს დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკაში გასარკვევად, სემეკის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გასაცნობად, შეხვედრების, პრესკონფერენციებისა და „ღია კარის დღეების“ ჩატარებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

**▪ 2002 ცუდთ თფქწლფდფლწ გადუოიშო ფფსშო გუზგკეფქუტეშო ქგმფწიშო თხუსშაშლფ ფფშმუცფბ პფსშდუიშმ ქფმქეფიგკშ პფჩფფ ფფ მუქეუაშ თფჩშმ სფქწნფდშო ფფ შ**

- საქართველოს მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების ცნობიერების გაზრდისა და გაღრმავების ხელშეწყობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა სხვადასხვა საგანმანათლებლო, მოლაპარაკებითი და კულტურული სტრატეგიების საშუალებით;
- მომხმარებლის (მოსახლეობა და ორგანიზაციები) უფლებათა დაცვა ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ კომპანიებსა და მომხმარებელს შორის სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში. ყოველი ასეთი კონკრეტული თუ საზოგადო შემთხვევის განხილვა, შესწავლა და მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყვეტა;
- კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების, აგრეთვე, კომისიის სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობის მიღება;
- კომისიაში შემოსული იმ სადავო საკითხების განხილვაში მონაწილეობა, რომელიც მომხმარებელსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის წარმოიშვება. ამის თაობაზე წინადადებების მომზადება და კომისიისათვის წარდგენა.
- სემეკის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებისას, განსაკუთრებით, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების ცვლილებისას მომხმარებელთა ინტერესების ლობირება არსებული მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით;
- სათემო და პროფესიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოების წინაშე მდგარი, ენერგეტიკისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;
- მომხმარებლისათვის და შესაბამისად, მთელი მოსახლეობისათვის ენერგეტიკის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ მართალი ინფორმაციის მიწოდება და არსებული პრობლემების კონსტრუქციულად გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- საზოგადოებასა და ენერგეტიკის დარგში მოქმედი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს შორის დიალოგების მოწყობა და ამით, არსებული პრობლემების კონსტრუქციულად მოგვარებაში წვლილის შეტანა;
- პრესის თუ სატელევიზიო გადაცემების ყოველდღიური მიმოხილვა, ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, მათზე რეაგირება; ენერგეტიკაში არსებული პრობლემების, კომისიისა და დეპარტამენტის საქმიანობის გაშუქება პრესაში და ტელევიზიით;

**• დეპარტამენტის მუშაობა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება „ცხელი ხაზი“**

დღიდან დეპარტამენტის ამოქმედებისა, სატელეფონო „ცხელი ხაზი“ (ტელ: 25 29 82) მის დაქვემდებარებაშია. ყოველდღიურად „ცხელი ხაზის“ მეშვეობით მრავალი ადამიანი, ძირითადად თბილისის მოსახლეობა, უკავშირდება დეპარტამენტს და მისგან საკუთარი პრობლემის მოგვარებას ითხოვს. ასევე, „ცხელი ხაზის“ საშუალებით მომხმარებელი იღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას ენერგეტიკის დარგში მიმდინარე პროცესებზე.

დეპარტამენტის არსებობის მანძილზე „ცხელი ხაზით“ შემოვიდა 4500 სატელეფონო განცხადება, აქედან, 2002 წელს მათმა რაოდენობამ 3780 შეადგინა.



